

## **განსაჯობა**

კრეპულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე  
2016, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia  
on **Administrative Cases**  
(in Georgian)  
2016, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №12

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2016, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. ადგინისტრაციული განსჯადობა

## განვითარება

№ბს-418-411(გ-15)

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 30 სექტემბერს ლ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2014 წლამდე ახორციელებდა სსიპ თბილისის 195-ე საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილებას. მას მონანილეობა ჰქონდა მიღებული კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში. ამასთან, რამდენიმეჯერ მიწვეული იყო სხვადასხვა სახის ტრენინგში ტრენერად და მომხსენებლად.

მოსარჩელის მითითებით, 2014 წლის 18 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოცხადდა საჯარო სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონანილეობას იღებდა მოსარჩელე ლ. ბ-იც. დირექტორობის უფლების მოსაპოვებლად მან წარმატებით გაიარა კონკურსის რამდენიმე ეტაპი, რის საფუძველზეც გადასცეს დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატი. მოსარჩელემ კანონით დადგენილი წესების სრული დაცვით საკუთარი კანდიდატურა წარადგინა მხოლოდ ...-ე სკოლის დირექტორის თანამდებობაზე და წარსდგა კომისიის წინაშე. ლ. ბ-მა გასაუბრება გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიასთან, მაგრამ მოსარჩელის კანდიდატურა ყოველგვარი დასაბუთებისა და ფაქტობრივი არგუმენტაციის გარეშე უარყოფილ იქნა კომისიის მიერ, რის შემ-

დეგაც იგი არ წარადგინეს ...-ე სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე. გარდა ამისა, მოსარჩელესთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა და იგი გათავისუფლდა ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს №... ბრძანებისა და სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორად მ. თ-ას დანიშნენის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 9 სექტემბრის ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ლ. ბ-ის სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება მ. თ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ლ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის საჭიროა, რომ სადაც სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსაზიდველ საქმეთა კატეგორიებს. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის არსებითი და გადამწყვეტია სხორცედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სასამართლო კოლეგია განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირისა, რომელიც ენევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადაცო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის შე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეცნიერო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართლნარმოების წესით განხილავს სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლნარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით ლ. ბ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დაგა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტები დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ზემოაღნიშნულ მუხლში, ხოლო აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დაკვეთ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 წანის დანაწესის შესაბამისად, დავის სამოქალაქო წესით განსაზღველად მიჩნევის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წორმის დანაწესი შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. სადაც ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კა სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის შესახებ.

სასამართლო კოლეგიის დაკვნით, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადაც სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შექმნება სამოქალაქო საქმების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცვად ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან ნარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება ნარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრა-

ციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელე-  
მენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია  
იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად,  
ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწეს-  
რიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილე-  
ბელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძ-  
ნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის  
ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გა-  
მომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-  
ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფ-  
ლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით  
განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-  
ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-  
ბის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მოსაზრებას, რომ  
აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართალნარმოების წე-  
სით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან  
მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუ-  
ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად  
ცნობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-  
მის დავალება. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწ-  
ყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული აქტების სამართლებრი-  
ვი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი  
ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“  
ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორ-  
განოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველ-  
ზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რო-  
მელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირ-  
თა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივი-  
დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლე-  
ბა აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გა-  
დანყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკით-  
ხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შე-  
სახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული

ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები კი უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი უნდა ემყარებოდეს ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს №977 სადავო ბრძანება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შეიცავს ამ აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილ რეკვიზიტებს და გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, სადავო ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, სახეზეა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებული სამართალურთობა, ვინაიდან მისი რეგულირება ხდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესით“ – ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ სამართალურთობისა გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ელემენტი და მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესის“ თანახმად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრა-

ციული-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას/კომისიებს სა-მეურვეო საბჭოსათვის დირექტორების კანდიდატების წარდგე-ნის მიზნით. კომისია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში შექმნილი კო-ლეგიური ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, როგორც კო-ლეგიური ორგანო. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილე-ბა ადასტურებს ან უარყოფს კონკურსანტის სამეურვეო საბ-ჭოსათვის წარდგენის უფლებას. რაც შეეხება გასაუბრების კო-მისიის საოქმო გადაწყვეტილებას, იგი წარმოშობს სამართლე-რივ შედეგს კონკურსანტის მიმართ. გასაუბრების კომისიის სა-ოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს განათლე-ბისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ად-მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, კომისიის სა-ოქმო გადაწყვეტილება მინისტრის მიერ გამოცემული სადავო ბრძანების სავალდებულო კომპონენტია, რომელიც წარმოად-გენს კომისიის თითოეული წევრის გადაწყვეტილების ერთობ-ლიობას და ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეი-ცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნე-ბის ელემენტს. შესაბამისად, დავა გამომდინარეობს ადმინის-ტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორი-ად მიჩნევის თაობაზე იმ მოტივით, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დი-რექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადავო აქტები სა-ჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქ-მედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შო-რის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშო-ბილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქა-ლაქო სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ზოგადი განათ-ლების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი

არ ვრცელდება გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურ-სანტ დირექტორებზე. იგი შეიძლება გავრცელდეს საჯარო სკო-ლის უკვე არჩეულ/დანიშნულ დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომელს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს გა-ნათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებზე, როგორც სამოქალაქო დავებზე, რომელთაც სასამართლნარმოების წესით განიხილავს სასამართლო. სადავო ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გა-დაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის თაობაზე. უდავოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მი-ნისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, წარმოადგენს ინდი-ვიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართლ-ნარმოების წესით, რადგან ისინი გამოცემულია ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლება-მოსილების ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მი-აჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგის მითითებას „საჯარო სამსახურის შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედე-ბა აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირ-ზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომე-ლიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქ-მიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსე-ბული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცვე-ლის თანაშემნის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შე-სარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონ-მდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბა-მისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს გა-ნათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერ-ვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დი-

რექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ამ კანონის 36<sup>2</sup>-ე და 36<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი რეგულაციები კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ზოგად მონესრიგებას, რაც ცალკეული დაწესებულებების მიერ შესაძლებელია განსხვავებულად მონესრიგდეს. კანონის კონკრეტული მუხლების გავრცელების აკრძალვა კი არ გამორიცხავს მოცემულ კონკურსს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი აბსოლუტურად ვრცელდება საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. მოცემულ შემთხვევაში, დავის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა არ შეიძლება უკავშირდებოდეს კონკურსის ჩატარების სპეციალური მონესრიგების არსებობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმომბილი დავაა, ვინაიდან ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსაზილველი დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალზარმოების წესით განსაზილველ ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს. მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარებს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა შეოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში. კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სადაც სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე, არასწორია. შესაბამისად, ლ. ბ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსაზილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქმე – ლ. ბ-ის სარჩელისა გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადმინისტრაციული განსჯადობა**

### **განვითარება**

№ბს-420-413(გ-15)

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 8 სექტემბერს ლ. რ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2007 წლიდან 2012 წლის 29 ივნისამდე ახორციელებდა სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის უფლებამოსილებას. 2012 წლის 2 ივლისიდან 2014 წლის 7 აპრილამდე იყო ქ. თბილისის სსიპ აკადემიკოს ...-ის სახელობის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოცხადდა საჯარო სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მოსარჩელე ლ. რ-იც. დირექტორობის უფლების მოსაპოვებლად მან წარმატებით გაიარა კონკურსის რამდენიმე ეტაპი, რის საფუძველზეც გადასცეს დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერთიფიკატი. 2014 წლის 26 აგვისტოს ლ. რ-მა გასაუბრება გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიასთან, მაგრამ მოსარჩელის კანდიდატურა აბსოლუტურად უკანონოდ, ყოველგვარი დასაბუთებისა და ფაქტობრივი არგუმენტაციის გარეშე უარყოფილ იქნა კომისიის მიერ, რის შემდეგაც იგი არ იქნა წარდგენილი ...-ე სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ...-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად ლ. რ-ის არნარდგენის წაწილში დირექტორობის უფლების მქონე პირების საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოებისათვის წარდგენის მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №... ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 26 აგვისტოს №4 სხდომის ოქმის, ასევე, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის წაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 29 აგვისტოს №... ბრძანებისა და სსიპ აკადემიკოს ...-ის სახელობის თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორად ე. გ-ს დანიშვნის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 9 სექტემბრის ბრძანების ბათოლად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სადაც აქტების ბათოლად ცნობიდან 5 დღის ვადაში სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნების დანიშვნისა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც ლ. რ-ი შევა იმ კანდიდატთა სიაში, რომლებიც ასარჩევად წარედგინება სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ...-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2014 წლის 28 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ე. გ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ლ. რ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის საჭიროა, რომ სადაც სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახე ზე არ არის.

სასამართლო კოლეგია განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-111 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემნის დანიშნული წესისა. ამდენად, დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან

დაკავშირებული სადაცო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანამდებად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილავს სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისს განჩინებით ლ. რ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ზემოაღნიშნულ მუხლში, ხოლო აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითა მონესრიგებული.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმი-

ნისტრაციული დავა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, დავის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესი შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის ნარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. სადაც ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის შესახებ.

სასამართლო კოლეგიის დასკვნით, მოცემულ სამართალურ-თიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღმრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადაც სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ად-მინისტრაციული კანონმდებლობიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაც ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო,

შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, სესნებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დაცვის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად უფლებებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-სით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუ-ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-მის დავალება. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული აქტების სამართლებრი-ვი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორ-განოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველ-ზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რო-მელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირ-თა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლე-ბა აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გა-დაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიეკუთვნებული საკით-ხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შე-სახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი. რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის უმ-თავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვ-ნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სა-მართლის შესაბამის წორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები კი უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაცი-ული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორ-განოს მიერ მიღებული აქტი უნდა ემყარებოდეს ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო სა-სამართლო თვლის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნი-ერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს №977 სადავო ბრძა-ნება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შეიცავს ამ აქტისათ-

ვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილ რეკვიზიტებს და გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, სადავო ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, სახეზეა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებული სამართალურთოერთობა, ვინაიდან მისი რეგულირება ხდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესით“ – ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ სამართალურთოერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ელემენტი და მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესის“ თანახმად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას/კომისიებს სამეცნიერო საბჭოსათვის დირექტორების კანდიდატების წარდგენის მიზნით. კომისია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, როგორც კოლეგიური ორგანო. საკონკურსო კომისიის შექმნის მიზანია დირექტორის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების მასთან შესაბამისობის დადგენა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ადასტურებს ან უარყოფს კონკურსანტის სამეცნიერო საბჭოსათვის წარდგენის უფლებას. რაც შეეხება გასაუბრების კომისიის საოქმო გადაწყვეტილებას, იგი წარმომობს სამართლებრივ შედეგს კონკურსანტის მიმართ. გასაუბრების კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, კომისიის სა-

ოქმო გადაწყვეტილება მინისტრის მიერ გამოცემული სადავო ბრძანების სავალდებულო კომპონენტია, რომელიც წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის გადაწყვეტილების ერთობლიობას და ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნების ელემენტს. შესაბამისად, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე იმ მოტივით, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადავო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმომბილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი არ ვრცელდება გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ დირექტორებზე. იგი შეიძლება გავრცელდეს საჯარო სკოლის უკვე არჩეულ/დანიშნულ დირექტორსა და სკოლის თანამშრომელს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმომბილ შრომით დავებზე, როგორც სამოქალაქო დავებზე, რომელთაც სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო. სადავო ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის თაობაზე. უდავოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის

კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალ-ნარმოების წესით, რადგან ისინი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლება-მოსილების ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მი-აჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი ურთიერთობიდან ნარმოშობილი დავაა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებას „საჯარო სამსახურის შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედე-ბა აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირ-ზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომე-ლიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქ-მიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანისათან არსე-ბული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცვე-ლის თანაშემნის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შე-სარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანო-მდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბა-მისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს გა-ნათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერ-ვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დი-რექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთი-თებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიუ-ლი პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზ-რუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პი-რის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ამ კანონის 36<sup>2</sup>-ე და 36<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი რეგულა-ციები კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით ნარმოადგენს ზოგად მოწესრიგებას, რაც ცალკეული დაწესებულებების მი-ერ შესაძლებელია განსხვავებულად მოწესრიგდეს. კანონის კონკრეტული მუხლების გავრცელების აკრძალვა კი არ გამო-რიცხავს მოცემულ კონკურსს ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი სივრციდან, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-ნონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი აბსოლუტურად

ვრცელდება საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. მოცემულ შემთხვევაში, დავის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა არ შეიძლება უკავშირდებოდეს კონკურსის ჩატარების სპეციალური მოწესრიგების არსებობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლომ მიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, ვინაიდან ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს. მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ხორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნული პრინციპი კი

ასახვას პოულობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სადაცო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე, არასწორია. შესაბამისად, ლ. რ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქმე – ლ. რ-ის სარჩელისა გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადგინისტრაციული განსჯადობა

### განხილვა

№ბს-422-415(გ-15)

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 3 ნოემბერს მ. ქ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მიჰპასუხე საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების მინისტრის №... ბრძანების საფუძველზე დაი-  
ნიშნა სსიპ ქ. ...-ის მ. კ-ს სახელობის მე-... საჯარო სკოლის დი-  
რექტორად. 2013 წლის 8 ნოემბრის №... ბრძანების თანახმად კი  
დაინიშნა ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებ-  
ლად.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროში გამოცხადდა საჯარო სკოლის დი-  
რექტორთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას  
იღებდა მოსარჩელე მ. ქ-ა. დირექტორობის უფლების მოსაპო-  
ვებლად მან წარმატებით გაიარა კონკურსის რამდენიმე ეტაპი,  
რის საფუძველზეც გადასცეს დირექტორობის უფლების მოპო-  
ვების დამადასტურებელი სერტიფიკატი. 2014 წლის 14 აგვის-  
ტოს სერტიფიცირებულ დირექტორთათვის ცნობილი გახდა,  
რომ მათ უნდა ჩატარებოდათ კიდევ ერთი გასაუბრება, რომ-  
ლის შედეგებიც განსაზღვრავდა კონკრეტული სკოლის სამე-  
ურვეო საბჭოსთვის მათ ასარჩევად წარდგენას. მ. ქ-ამ გასაუბ-  
რება გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მი-  
ნისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისი-  
ასთან, მაგრამ მოსარჩელის კანდიდატურა ყოველგვარი დასა-  
ბუთებისა და ფაქტობრივი არგუმენტაციის გარეშე უარყოფილ

იქნა კომისიის მიერ, რის შემდეგაც იგი არ წარადგინეს მე-2 სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ ქ. ....-ის მ. კ-ს სახელობის მე-... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად მ. ქ-ას არნარდგენის ნანილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 სექტემბრის №... ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 24 სექტემბრის №... სხდომის ოქმის, ასევე, სსიპ ქ. ....-ის მ. კ-ს სახელობის მე-... საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის ნანილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 2 ოქტომბრის №... ბრძანებისა და ქ. ....-ის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად წარსადგენი დირექტორების კანდიდატების სიის ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც მ. ქ-ა ასარჩევად წარედგინება ქ. ....-ის მ. კ-ს სახელობის სსიპ მე-... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით მ. ქ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისთვის საჭიროა, რომ სადაც სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სასამართლო კოლეგია განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნ-

ქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემნის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადაცო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ნარმოშობილ შრომით დაევებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილავს სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით მ. ქ-ას სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიუთი-

თა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ზემოაღნიშნულ მუხლში, ხოლო აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სასამართლო კოლეგის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის დასკვნა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, დავის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წორმის დანაწესი შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. სადაც ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის შესახებ.

სასამართლო კოლეგის დასკვნით, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სასამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადაც სამართლურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო

საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსაზღველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უნიკატოვ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმატულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთითობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია

იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწეს-რიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილე-ბელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძ-ნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გა-მომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფ-ლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-ბის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-სით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუ-ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-მის დავალება. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწ-ყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული აქტების სამართლებრი-ვი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორ-განოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველ-ზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რო-მელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირ-თა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლე-ბა აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გა-დაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკით-ხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შე-სახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი. რომელსაც შეიძლება მოჰ-ყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები კი უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი უნდა ემყარებოდეს ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 2 ოქტომბრის №1079 სადავო ბრძანება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შეიცავს ამ აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილ რეგვიზიტებს და გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, სადავო ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, სახეზეა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებული სამართალურთიერთობა, ვინაიდან მისი რეგულირება ხდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესით“ – ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ელემენტი და მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესის“ თანახმად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას/კომისიებს სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორების კანდიდატების წარდგე-

ნის მიზნით. კომისია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, როგორც კოლეგიური ორგანო. საკონკურსო კომისიის შექმნის მიზანია დირექტორის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების მასთან შესაბამისობის დადგენა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ადასტურებს ან უარყოფს კონკურსანტის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის უფლებას. რაც შეეხება გასაუბრების კომისიის საოქმო გადაწყვეტილებას, იგი წარმოშობს სამართლებრივ შედეგს კონკურსანტის მიმართ. გასაუბრების კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, კომისიის საოქმო გადაწყვეტილება მინისტრის მიერ გამოცემული სადავო ბრძანების სავალდებულო კომპონენტია, რომელიც წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის გადაწყვეტილების ერთობლიობას და ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნების ელემენტს. შესაბამისად, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე იმ მოტივით, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადავო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმომბილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი არ ვრცელდება გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტ დირექტორებზე. იგი შეიძლება გავრცელდეს საჯარო სკო-

ლის უკვე არჩეულ/დანიშნულ დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომელს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს გა-ნათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობი-ლი შრომით დავებზე, როგორც სამოქალაქო დავებზე, რომელ-თაც სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო. სა-დავო ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვე-ბამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედე-გებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის თაობაზე. უდავოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნი-ერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, წარმოად-გენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქ-ტებს, რომლის კანონიერებაც უნდა შემონმდეს ადმინისტრა-ციული სამართალნარმოების წესით, რადგან ისინი გამოცემუ-ლია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კა-ნონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მი-ნიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, საკასა-ციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობი-ლი დავა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიის მითითებას „საჯარო სამსახურის შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედე-ბა აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირ-ზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომე-ლიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქ-მიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანისათან არსე-ბული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცვე-ლის თანაშემწის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შე-სარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონ-მდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბა-მისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს გა-ნათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერ-ვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დი-რექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ამ კანონის 36<sup>2</sup>-ე და 36<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი რეგულაციები კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ზოგად მოწესრიგებას, რაც ცალკეული დაწესებულებების მიერ შესაძლებელია განსხვავებულად მოწესრიგდეს. კანონის კონკრეტული მუხლების გავრცელების აკრძალვა კი არ გამორიცხავს მოცემულ კონკურსს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი აბსოლუტურად ვრცელდება საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. მოცემულ შემთხვევაში, დავის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა არ შეიძლება უკავშირდებოდეს კონკურსის ჩატარების სპეციალური მოწესრიგების არსებობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დაგაა, ვინაიდან ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსაზღვრელ ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს. მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღმრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციუ-

ლი საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი წანილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 წანილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე, არასწორია. შესაბამისად, მ. ქ-ას სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსაზილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2

ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქმე – მ. ქ-ას სარჩელისა გამო, საქართველოს განათლე-  
ბისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით გან-  
სახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-  
ლოობა და არ საჩივრდება.

### **ადგინისტრაციული განსჯადობა**

#### **განჩინება**

№ბს-424-417(გ-15) 10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 8 სექტემბერს ნ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 1995 წლიდან მუშაობდა თბი-  
ლისის ...-ე საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებლად. 1997 წლიდან 2001 წლამდე დანიშნული იყო ამა-  
ვე სკოლის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2001 წლიდან 2007  
წლამდე იყო ამავე სკოლის დირექტორი. 2008 წლიდან დღემდე  
6. ს-ე მუშაობდა ...-ე საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლი-

ტერატურის მასწავლებლად. 2011-2012 წლებში მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გახდა სერტიფიცირებული პედაგოგი.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოცხადდა საჯარო სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მოსარჩელე ნ. ს-ეც. დირექტორობის უფლების მოსაპოვებლად მან წარმატებით გაიარა კონკურსის რამდენიმე ეტაპი, რის საფუძველზეც გადასცეს დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატი. მოსარჩელემ კანონით დადგენილი წესების სრული დაცვით საკუთარი კანდიდატურა წარადგინა მხოლოდ ...-ე სკოლის დირექტორის თანამდებობაზე და წარსდა კომისიის წინაშე. ნ. ს-ემ გასაუბრება გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიასთან, მაგრამ მოსარჩელის კანდიდატურა ყოველგვარი დასაბუთებისა და ფაქტობრივი არგუმენტაციის გარეშე უარყოფილ იქნა კომისიის მიერ, რის შემდეგაც იგი არ წარადგინეს ...-ე სკოლის სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის სასიპ ...-ე საჯარო სკოლის სამეცნიერო საბჭოსათვის ასარჩევად ნ. ს-ის არწარდების ნაწილში დირექტორობის უფლების მქონე პირების საჯარო სკოლის სამეცნიერო საბჭოებისათვის წარდგენის მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №... ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 27 აგვისტოს №... სხდომის ოქმის, ასევე, სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენის ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს №... ბრძანებისა და სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორად გ. ე-ის დანიშვნის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 9 სექტემბრის ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სადაცო აქტების ბათილად ცნობიდან 5 დღის ვადაში სსიპ ქ. თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნების დანიშვნისა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც ნ. ს-ე შევა იმ კანდიდატთა სიაში, რომლებიც ასარჩევად წარედგინე-

ბიან ქ. თბილისის სსიპ ...-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ნოემბრის საოქმო განჩინებით  
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16  
მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაე-  
ბა გ. ე-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ნ. ს-ის  
სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და აღ-  
ნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნე-  
ვისთვის საჭიროა, რომ სადაცო სამართლებრივი ურთიერთობა  
გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონ-  
მდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტუ-  
ლად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების  
წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს. ამა თუ იმ დავის  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნე-  
ვისთვის არსებითი და გადამწყვეტია სხორცედ საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითი-  
თებული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაცი-  
ული სამართლის კანონმდებლობიდან, რომელიც მოცემულ შემ-  
თხვევაში სახეზე არ არის.

სასამართლო კოლეგია განმარტავს, რომ „საჯარო სამსახუ-  
რის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნ-  
ქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგ-  
რეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარ-  
და იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა  
კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და  
ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარე-  
ბელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემ-  
ნის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შესარჩევი კონ-  
კურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის  
– „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურ-  
სის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი გა-  
ნათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძა-  
ნებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარ-

ჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადაცო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილავს სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილვები დავა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით 6. ს-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობებიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ზემოაღნიშნულ მუხლში, ხოლო აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, მოცემულ შემთხვევა-

ში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, დავის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესი შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. სადაც ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის შესახებ.

სასამართლო კოლეგიის დასკვნით, მოცემულ სამართალურ-თიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადაც სამართლურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამონმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების, კანონიერება-დასაბუთებულობას, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უნიკებრივ ქვემდებარეობას სასამართლებისადმი, რომლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ

ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დაცებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დაგის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-

ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული აქტების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისთვის უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები კი უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი უნდა ემყარებოდეს ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს №977 სადავო ბრძა-

ნება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შეიცავს ამ აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილ რეკვიზიტებს და გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, სადავო ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, სახეზეა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებული სამართალურთიერთობა, ვინაიდან მისი რეგულირება ხდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესით“ – ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ელემენტი და მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისთვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის კონკურსის გამართვის წესის“ თანახმად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას/კომისიებს სამეცნიერო საბჭოსათვის დირექტორების კანდიდატების წარდგენის მიზნით. კომისია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში შექმნილი კოლეგიური ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, როგორც კოლეგიური ორგანო. საკონკურსო კომისიის შექმნის მიზანია დირექტორის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების მასთან შესაბამისობის დადგენა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ადასტურებს ან უარყოფს კონკურსანტის სამეცნიერო საბჭოსათვის წარდგენის უფლებას. რაც შეეხება გასაუბრების კომისიის საოქმო გადაწყვეტილებას, იგი წარმოშობს სამართლებრივ შედეგს კონკურსანტის მიმართ. გასაუბრების კომისიის საქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს განათლე-

ბისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ად-მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, კომისიის სა-ოქმო გადაწყვეტილება მინისტრის მიერ გამოცემული სადავო ბრძანების სავალდებულო კომპონენტია, რომელიც წარმოად-გენს კომისიის თითოეული წევრის გადაწყვეტილების ერთობ-ლიობას და ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეი-ცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნე-ბის ელემენტს. შესაბამისად, დავა გამომდინარეობს ადმინის-ტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკავალი სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორი-ად მიჩნევის თაობაზე იმ მოტივით, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დი-რექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადავო აქტები სა-ჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქ-მედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შო-რის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშო-ბილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქა-ლაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკავალი სასამართლო განმარტავს, რომ „ზოგადი განათ-ლების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი არ ვრცელდება გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურ-სანტ დირექტორებზე. იგი შეიძლება გავრცელდეს საჯარო სკო-ლის უკვე არჩეულ/დანიშნულ დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომელს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს გა-ნათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობი-ლი შრომით დავებზე, როგორც სამოქალაქო დავებზე, რომელ-თაც სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. სა-დავო ურთიერთობა კი ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვე-ბამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს, რომლის შედე-გებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტით, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დირექტორად არჩევის თაობაზე. უდავოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნი-

ერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის კანონიერებაც უნდა შემონმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგან ისინი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მითითებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემნის დანიშვნის წესისა. ამდენად, დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი იყო „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ამ კანონის 36<sup>2</sup>-ე და 36<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი რეგულაციები კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ზოგად მოწესრიგებას, რაც ცალკეული დაწესებულებების მიერ შესაძლებელია განსხვავებულად მოწესრიგდეს. კანონის კონკრეტული მუხლების გავრცელების აკრძალვა კი არ გამო-

რიცხავს მოცემულ კონკურსს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი აბსოლუტურად ვრცელდება საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. მოცემულ შემთხვევაში, დავის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა არ შეიძლება უკავშირდებოდეს კონკურსის ჩატარების სპეციალური მოწესრიგების არსებობის ფაქტს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, ვინაიდან ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსაზილეველი დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსაზილეველ ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს. მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული წორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არა-

მედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლში, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სადაც სამართლურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე, არასწორია. შესაბამისად, 6. ს-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯად ადმინისტრაციული მიხედვით საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქმე – 6. ს-ის სარჩელისა გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადგინისტრაციული განსჯადობა

### განჩინება

№ბს-249-245(გ-15)

24 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის  
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-  
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „ყ. თ-ის“ სასარ-  
ჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გან-  
სჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-  
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ყ. თ-მა“ 13.03.2015 წ. სარჩელით მიმართა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სა-  
ქართველოს ენერგეტიკისა და ნეალმომარაგების მარეგული-  
რებელი ეროვნული კომისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა  
საქართველოს ენერგეტიკისა და ნეალმომარაგების მარეგული-  
რებელი ეროვნული კომისიის 29.01.15წ. №5/23 გადაწყვეტილე-  
ბის ბათილად ცნობა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 14.05.2014 წ. კომპანიის წარმო-  
მადგენელმა, აბონენტთან (თ. ჯ-ი) ლაბორატორიული შემოწ-  
მების მიზნით მოხსნა გაზის (ბუნებრივი აირის) მრიცხველი. საიდ  
საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული  
სააგენტოს მექანიკის ეტალონური განყოფილების „ბუნებრივი  
აირის მრიცხველის დამოწმების“ 23.05.2014 წ. №823-3 ოქმის  
საფუძველზე, 04.06.2014 წ. კომპანიის წარმომადგენელის მიერ  
თ. ჯ-ის მიმართ შეადგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-  
ვის №014127 ოქმი. 19.06.2014 წ. უფლებამოსილი პირის მიერ  
შედგა №07/1228 დადგენილება. კომპანია „ყ. თ-მა“, ბუნებრივი  
აირის უკანონო მოხმარების გამო, აბონენტისაგან მოითხოვა

მიუყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანი დაანგარიშდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 09.07.2009 წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის შესაბამისად. მომხმარებელმა თ. ჯ-მა კომპანიის №07/1228 დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. 29.01.2015 წ. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №5/23 გადაწყვეტილებით თ. ჯ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უსაფუძლოდ მიიჩნია შპს „ყ. თ-ის“ მიერ ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარებისთვის დარიცხული 655.14 ლარის დარიცხვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.03.2015 წ. განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სარჩელი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რადგან მოცემული დავის საგანი არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მატერიალური თვალსაზრისით შემოწმებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანი ნარმოშობილია კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ უნდა შეფასდეს ბუნებრივი გაზის მოწოდების თაობაზე ბუნებრივი აირის განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების არსებობის, მომხმარებლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების არსებობის, მომხმარებლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებისა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების კანონიერების საკითხი. ნარმოდგენილი სარჩელი მიეკუთნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას, შესაბამისად, მოცე-

მული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით – მხოლოდ ის გარემოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძოსამართლებრივ ხასიათს და ვერ განაპირობებს მის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.03.2015წ. განჩინებით, შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, საქმე გადაეცვალა საქართველოს უზენაასი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას განსჯადობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ეროვნული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ კოლეგიური მართვის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქს დამატებითი საჯარო უფლებამოსილება გადაწყვიტოს მის რეგულირებას დაქვემდებარებულ სანარმოებს, ასევე ამ სანარმოებსა და მომხმარებელს შორის არსებული დავები. აღნიშნული დავები განიხილება საჯარო მოსმენის წესით და საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ადმინისტრაციული წესით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა მიმწოდებელს – შპს „ყ. თ-ის“ და მომხმარებელს – თ. ჯ-ს შორის არსებული დავა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 29.01.2015წ. №5/23 სადაც გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შედეგის წარმომშობ და შესასრულებლად სავალდებულო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივ აქტს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მოცემული სამართლებრივი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის განსჯად საქმეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადაცო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 29.01.156. №5/23 გადაწყვეტილება, მოსარჩელე მოითხოვს მის ბათილად ცნობას. ამდენად, განსჯადობის საკითხის გარკვევა საჭიროებს ამ აქტის და მისი გამომცემი ორგანოს სსიპ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტატუსის გარკვევას.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოსგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სახის საჯარო საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ „ეროვნული მარეგულირებელი მომართველის შესახებ“

საქართველოს კანონით ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამდენად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ლიცენზიანტებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 06.03.2014 წ. №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებით“ გათვალისწინებულ კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, ხოლო ამ ფუნქციის განსახორციელებლად ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებული დარიცხვის კანონიერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-

მდებლობასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილების ფარგლები, აქტის ფორმალური კანონიერების დადგენა დავის განხილვის არსებით საკითხთა სფეროს განეკუთვნება, ცდება განსჯადობასთან დაკავშირებული დავის საზღვრებს და არ მოქმედებს განსახილველი დავის განსჯადობაზე. სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადაწყვეტა არ გულისხმობს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სემეკ-ის უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემის დადგენას, მიღებული აქტის მატერიალური კანონიერების დადგენას, აღნიშნული საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადასაწყვეტი საკითხია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ყ. თ-ის“ სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სარჩელი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადგინისტრაციული განსჯადობა

### განხილვა

№ბს-419-412 (გ-15)

15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის  
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-  
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, გა-  
ნიხილა მოქალაქე ზ. გ-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა, მო-  
პასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინის-  
ტროს და მესამე პირის – ა. ხ-ის მიმართ, განსჯადობის თაობა-  
ზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-  
ქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. გ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქარ-  
თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ  
და სარჩელის დაზუსტების შედეგად მოითხოვა: საქართველოს  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 22.08.2014წ. №951  
ბრძანებით შექმნილი კომისიის 27.08.2014წ. №5 სხდომის ოქ-  
მის ნაწილობრივ ბათილად ცნობა ქ. თბილისის სსიპ №... საჯა-  
რო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ზ.გ-ის არწარდგენის ნა-  
წილში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის  
29.08.2014წ. №977 ბრძანების, ქ. თბილისის №... საჯარო სკო-  
ლის დირექტორთა კანდიდატების წარდგენის ნაწილში, ბათი-  
ლად ცნობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-  
მინისტროსათვის სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დი-  
რექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე ზ. გ-ის  
ნარდგენის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
გამოცემის დავალება; საქართველოს განათლებისა და მეცნიე-

რების სამინისტროსათვის სადაც აქტების ბათილად ცნობილ 5 დღის ვადაში ქ.თბილისის სსიპ №... საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნების დანიშვნის დავალება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლიდან აქტიურად არის ჩართული ზოგადი განათლების სისტემაში. 2006 წლიდან 2014 წლის 26 თებერვლამდე ყყო სსიპ თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფლობს დირექტორის უფლების მოპოვების დამადასტურებელ სერტიფიკატს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 27.08.2014 წ. მან გაიარა გასაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიასთან. გასაუბრებისას, მან კომისიას წარუდგინა მისი სტრატეგიული ხედვა №... და №... საჯარო სკოლებთან დაკავშირებით, კომისიამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო მისი კანდიდატურა, რის შედეგადაც მოსარჩელე არ იქნა წარდგენილი სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.10.2014წ. განჩინებით ასკ-ის მე-16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ა. ხ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.2014წ. განჩინებით ზ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეც ზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.2011წ. №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2! პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადაც აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. სასამართლომ მიუთითა ასე-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე, მე-2 და 26-ე მუხლებზე, სეკ-ის მე-11, 26-ე მუხლებზე და ზ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.06.2015წ. განჩინებით ზ. გ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკენზ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლის დანაწესის შესაბამისად დავის სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დანაწესი საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე, შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობაზე. სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადაც ურთიერთობა ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს (რა დროსაც მოსარჩელე არის არა სკოლის დირექტორი, არამედ – დირექტორობის კანდიდატი), რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამდენად, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები წარმოადგენს

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რამდენადაც ერთერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის შე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ს. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს ს. გ-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის საჯარო ან კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს (დაწყებით, საბაზო და საშუალო) მაინც. მოცემულ შემთხვევაში სადავოა საკონკურსო პროცედურა არა კერძო სკოლის, არამედ საჯარო სკოლის ანუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სკოლის დირექტორის თანამდებობის დაკავება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სკოლის დირექტო-

რის შერჩევის პროცესი თავის თავში მოიცავს რთულ პროცედურულ მექანიზმს, რომელიც შედგება რამდენიმე სტადიისა-გან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.116. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ თანახ-მად, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი მოი-ცავს რამდენიმე ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკო-ლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენა, საბჭოს მიერ კონკურსგავლილი დირექ-ტორობის კანდიდატთაგან დირექტორის არჩევა, დირექტორის რეგისტრაციაში გატარება სსიპ განათლების მართვის საინფორ-მაციო სისტემაში, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ დირექტორ-თან ხელშეკრულების დადება. ხსენებული წესის მიხედვით, სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ მინისტრი ინ-დიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამ-ტკიცებს დირექტორობის უფლების მქონე პირთა სიას (მე-17 მუხ.), გასაუბრების შედეგების მიხედვით კომისიის მიერ შერ-ჩეული კანდიდატების და შესაბამისი სკოლების სია მტკიცდე-ბა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტით და კანდიდატი ასარჩევად წარედგინება საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს (მე-20<sup>1</sup>, 21-ე მუხ.). წესის თანახ-მად, საგამოცდო კომისიის შექმნა ხდება მინისტრის ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მე-6, მე-16, მე-20 მუხ.), ტესტირების ჩატარების თარიღს, ადგილს, ხან-გრძლივობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტით ადგენს მინისტრი (მე-7 მუხ.), დირექტორობის მსურ-ველის ტესტირებიდან მოხსნა, გაფრთხილების, სერტიფიკატის მიცემა ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის საფუძველზე (მე-13, მე-18, მე-20 მუხ.). ამდენად, საკონკურსო კომისიის წარ-დგინების საფუძველზე მინისტრის მიერ გამოცემული აქტი სრულად პასუხობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნიშნებს, სახეზეა ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის ნიშნების კუმულატიუ-რი ერთობლიობა. მოცემულ საქმეში მოსარჩელე ითხოვს „იმ კან-დიდატთა და შესაბამისი სკოლების სიის დამტკიცების შესა-ხებ, რომლებიც ასარჩევად წარედგინებიან ქალაქ თბილისის სა-ჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს“ საქართველოს განათ-

ლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.14წ. №977 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, კერძოდ სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭო-სათვის წარდგენის ნაწილში. დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიის კუთვნილებას ადასტურებს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა საგნობრივი (გვარებითი) განსჯადობის მიხედვით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია. კოლეგიის მოსაზრება ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup>.1 მუხლს და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-12.3 მუხლს. საკუსაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი არ გამოირიცხება იმით, რომ სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup>.1, 29-ე-32-ე მუხლების საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება (აღნიშნული მუხლები ეხება კონკურსის წესით დანიშნვის საკითხებს) ვრცელდება აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგისტრირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის დანიშნვის წესისა. აღნიშნული ზოგადი დანაწესი არ გამოირიცხავს მითითებული სფეროების სპეციალურ საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11წ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესით“. ხსენებული აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროთია მოცული, მათი რეგულაციის სივრცეში წარმოშობილი სამართალურთიერთობა საჯარო-სამართლებრივია. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29.2 მუხლით გათვალისწინებული

ნორმატიული აქტით, კერძოდ, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29.2 მუხლის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის 18.06.14ნ. №412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი“ ვრცელდება დადგენილების ამოქმედების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცხადებულ საჯარო კონკურსზე. ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-32-ე მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ კონკურსის ჩატარების წესებს, არ ვრცელდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არ გამორიცხავს მოცემულ სადაც სამართალურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას. აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 26.1 მუხლის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე: ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს, საჯარო სკოლის სამეცნიერო საბჭოს ასარჩევად წარუდგენს საჯარო სკოლის დირექტორობის კანდიდატს/კანდიდატებს („ო“ ქვეპუნქტი); ადგენს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსების გამართვის წესს, უფლებამოსილია დაადგინოს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი („შ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის 42.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. ეს წესი დგინდება „საქართველოს განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11ნ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესით“. ამდენად, სადაც ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არის დავის ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიისადმი კუთვნი-

ლების ნიშანი. შესაბამისად, საგნობრივი განსჯადობა მოცემულ შემთხვევაში არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-31-ე მუხლებით.

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვის აუცილებლობას არ ადასტურებს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლი, რომელიც საგამონაკლისო წესით განსაზღვრავს სასამართლოს საგნობრივად განსჯად სასამართლოს. ხსენებული ნორმის მიხედვით საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილავს სასამართლო. ნორმის სუბიექტით საჯარო სკოლის დირექტორი. სადავო შემთხვევაში მოსარჩევეს არ გააჩნია დირექტორის სტატუსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.2011წ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით ერთმანეთისაგან გამიჯნულია: დირექტორობის უფლების მქონე პირი, დირექტორობის კანდიდატი, დირექტორობის მსურველი (მოცემულ შემთხვევაში საკონკურსო პროცედურის მიზანი სწორედ ისაა, რომ კანდიდატმა დაიკავოს საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა), ამდენად, სახეზე არ არის 12.3 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მითითება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლზე არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42.5 მუხლის მიხედვით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრირებულ არჩეულ დირექტორთან სამეურვეო საბჭო დებს შრომით ხელშეკრულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მართალია, საჯარო სკოლის დირექტორის შესაჩევი კონკურსი საბოლოოდ შრომითი ხელშეკრულების დადებით მთავრდება, მაგრამ თავად საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ხასიათი, კონკურსის ჩატარების მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადასტურებს, რომ საკონკურსო პროცედურა ადმინისტრაციული კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, შესაბამისად, სადავო ურთიერთობა საჯარო-სა-

მართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ საქმეში დავის საგანს ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.146. №977 ბრძანების ქ.თბილისის №... საშუალო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის ნაწილში ბათილად ცნობას, სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე ზ. გ-ის წარდგენის თაობაზე მინისტრისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებას. დავის აღნიშნული ასპექტები ადასტურებს, რომ სადაც სამართალურ-თიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს მორის არსებულ დავას, რის გამოც მოცემული საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ სამართალურ-თიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის მე-2 მუხ. მე-3 ნაწ.), სარჩელზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა, მოთხოვნა ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას (სასკ-ის 22-ე მუხ.), მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალებას (სასკ-ის 23-ე მუხ.), შესაბამისად, ზ. გ-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-

სის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

- ზ. გ-ის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ადმინისტრაციული განსჯადობა**

#### **განჩინება**

№ბს-421-414 (გ-15)

15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე მ. ხ-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა, მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მესამე პირის – გ. ხ-ის მიმართ, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ხ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის კანდიდატებისა და შესაბამისი სკოლების სიის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.2014წ. №977 ბრძანების ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსათვის ნარდენის ნაწილში ბათილად ცნობა, სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე გ. ხ-ის დანიშვნის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 09.09.2014წ. №1/კ-694 ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე მ. ხ-ის ნარდენის თაობაზე, ასევე სადაც აქტების ბათილად ცნობიდან 5 დღის ვადაში მოპასუხისათვის ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნების დანიშვნის დავალება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2005 წლის ივნისიდან 2014 წლის 9 სექტემბრამდე იყო სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორი, ფლობს დირექტორის უფლების მოპოვების დამადასტურებელ სერტიფიკატს. 2014 წლის აგვისტოს ოვეში გაიარა გასაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიაში. გასაუბრებისას, მან კომისიას ნარუდგინა მისი სტრატეგიული ხედვა სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლასთან დაკავშირებით, კომისიამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო მისი კანდიდატურა, რის შედეგადაც მოსარჩელე არ იქნა ნარდენილი №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 09.09.2014წ. №1/კ-728 ბრძანების საფუძველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა და იგი განთავისუფლდა №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კომისიამ არ მოახდინა მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ფაქტობრივი წერილობითა დასაბუთება, არ გამოიკვლია არსებული გარემოებები, სათანადოდ არ შეაფასა გასაუბრებისას მოსარჩელის მიერ ნარდენილი სტრატეგიული ხედვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.10.2014წ. განჩინებით ასკ-ის მე-16.2 მუხ-

ლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება გ. ხ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.2014წ. განჩინებით მ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ენევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანიზაციების არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის დანიშვნის წესისა. ამდენად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.2011წ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაავშირებული სადავო აქტები საჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმდების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმომბილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე, მე-2 და 26-ე მუხლებზე, სსკ-ის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებზე და მ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.06.2015წ. განჩინებით მ. ხ-ის სარჩელი მობასუხე

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობი-სა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და-ვალების მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვე-ტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახე-ზე ა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა. სამო-ქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლის დანაწესი საჯარო სკოლის დი-რექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დი-რექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-მინისტროს შორის წარმოშობილ შრომითი დავების, როგორც სა-მოქალაქო დავების სამოქალაქო სამართალნარმოების წესით სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე, შეიძლება გავრცელ-დეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამი-ნისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობაზე. სამო-ქალაქო კოლეგია თვლის, რომ სადაცო ურთიერთობა ეხება დი-რექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარ-ჩევ კონკურსს (რა დროსაც მოსარჩელე არის არა სკოლის დი-რექტორი, არამედ – დირექტორობის კანდიდატი), რომლის შე-დეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამდენად, სამოქალაქო კო-ლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიე-რების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, ვინაიდან გამოცემული არიან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინის-ტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებ-ში. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ასკვნის, რომ მოცემული დავა სწორედ ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს და-ვის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრა-ციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამარ-თალურთიერთობა წარმოადგენს.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის

თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლო-თა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ მ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს მ. ხ-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის საჯარო ან კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეზმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს (დაწყებით, საბაზო და საშუალო) მაინც. მოცემულ შემთხვევაში სადაცა საკონკურსო პროცედურა არა კერძო სკოლის, არამედ საჯარო სკოლის ანუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სკოლის დირექტორის თანამდებობის დაკავება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სკოლის დირექტორის შერჩევის პროცედურა თავის თავში მოიცავს რთულ პროცედურულ მექანიზმს, რომელიც შედგება რამდენიმე სტადიისაგან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.116. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატის ასარჩევად წარდგენას, საბჭოს მიერ კონკურსგავლილი დირექტორობის კანდიდატთაგან დირექტორის არჩევა, დირექტორის რეგისტრაციაში გატარება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ დირექტორთან ხელშეკრულების დადება. სსენებული წესის მიხედვით, სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დირექტორობის უფლების მქონე პირთა სიას (მე-17

მუხ.), გასაუბრების შედეგების მიხედვით კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების და შესაბამისი სკოლების სია მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და კანდიდატი ასარჩევად წარედგინება საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს (მე-20<sup>1</sup>, 21-ე მუხ.). წესის თანახმად, საგამოცდო კომისიის შექმნა ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მე-6, მე-16, მე-20 მუხ.), ტესტირების ჩატარების თარიღს, ადგილს, ხანგრძლივობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს მინისტრი (მე-7 მუხ.), დირექტორობის მსურველის ტესტირებიდან მოხსნა, გაფრთხილების, სერტიფიკატის მიცემა ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის საფუძველზე (მე-13, მე-18, მე-20 მუხ.). ამდენად, საკონკურსო კომისიის წარდგინების საფუძველზე მინისტრის მიერ გამოცემული აქტი სრულად პასუხობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „დ“ კვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნიშნებს, სახეზეა ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის ნიშნების კუმულატიური ერთობლიობა. მოცემულ საქმეში მოსარჩელე ითხოვს „იმ კანდიდატთა და შესაბამისი სკოლების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ასარჩევად წარედგინებიან ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.14ნ. №977 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭო-სათვის წარდგენის ნაწილში. დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიის კუთვნილებას ადასტურებს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა საგნობრივი (გვარეობითი) განსჯადობის მიხედვით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია. კოლეგიის მოსაზრება ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup>.1 მუხლს და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც სამართალურო რომელი საჯარო-სამართლებრივი ხასიათი არ გამოირიცხება იმით, რომ სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა „საჯარო სამ-

სახურის შესახებ” კანონის მე-11.1, 29-ე-32-ე მუხლების საფუძვლით გველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება (აღნიშნული მუხლები ეხება კონკურსის წესით დანიშვნის საკითხებს) ვრცელდება აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, რომელიც ენევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგისტრირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემნის დანიშვნის წესისა. აღნიშნული ზოგადი დანაწესი არ გამორიცხავს მითითებული სფეროების სპეციალურ საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ზოგადი განათლების შესახებ” კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11ნ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესაჩჩევი კონკურსის გამართვის წესით“. სენებული აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროთია მოცული, მათი რეგულაციის სივრცეში წარმოშობილი სამართალურითიერთობა საჯარო-სამართლებრივია. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29.2 მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული აქტით, კერძოდ, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 29.2 მუხლის საფუძველზე მიღებულ საქართველოს მთავრობის 18.06.14ნ. №412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი“ ვრცელდება დადგენილების ამოქმედების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცხადებულ საჯარო კონკურსზე. ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 29-ე-32-ე მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ კონკურსის ჩატარების წესს, არ ვრცელდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არ გამორიცხავს მოცემულ სადაცვო სამართლურითიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას. აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ” კანონის 26.1 მუხლის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სფერ-

როში საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე: ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს, საჯარო სკოლის სამეცნიერო საბჭოს ასარჩევად წარუდგენს საჯარო სკოლის დირექტორობის კანდიდატს/კანდიდატებს („ო“ ქვეპუნქტი); ადგენს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსების გამართვის წესს, უფლებამოსილია დაადგინოს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი („მ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის 42.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურნციის პრინციპების დაცვით. ეს წესი დგინდება „საქართველოს განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.116. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესით“. ამდენად, სადავო ურთიერთობა გამომდინარებს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არის დავის ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიისაფში კუთვნილების ნიშანი. ამდენად, საგნობრივი განსჯადობა მოცემულ შემთხვევაში არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-31-ე მუხლებით.

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვის აუცილებლობას არ ადასტურებს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლი, რომელიც საგამონაკლისო წესით განსაზღვრავს სასამართლოს საგნობრივად განსჯად სასამართლოს. ხსნებული ნორმის მიხედვით საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეცნიერო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. ნორმის სუბიექტია საჯარო სკოლის დირექტორი. სადავო შემთხვევაში მოსარჩელეს არ გააჩნია დირექტორის სტატუსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-31-ე მუხლებით.

რების მინისტრის 24.02.2011წ. №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით ერთმანეთისაგან გამიჯნულია დირექტორობის უფლების მქონე პირი, დირექტორობის კანდიდატი, დირექტორობის მსურველი (მოცემულ შემთხვევაში საკონკურსო პროცედურის მიზანი სწორედ ისაა, რომ კანდიდატმა დაიკავოს საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა), ამდენად, სახეზე არ არის 12.3 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლზე არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართლანარმოების წესით განხილვას.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42.5 მუხლის მიხედვით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრირებულ არჩეულ დირექტორთან სამეურვეო საბჭო დებს შრომით ხელშეკრულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მართალია, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი საბოლოოდ შრომითი ხელშეკრულების დადებით მთავრდება, მაგრამ თავად საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ხასიათი, კონკურსის ჩატარების მომწერიგებელი კანონმდებლობა ადასტურებს, რომ საკონკურსო პროცედურა ადმინისტრაციული კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, შესაბამისად, სადაც ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარებს. გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42.6 მუხლის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სადაც 09.09.14წ., №1/კ-694 ბრძანებით სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე 2014 წლის 9 სექტემბრიდან ექვსი წლის ვადით – 2020 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით, დანიშნა გ. ხ-ე. მინისტრის სადაცვოდ გამხდარი აღნიშნული ბრძანების მართლზომიერება ადმინისტრაციული სამართლანარმოების წესით უნდა დადგინდეს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-მდებლობასთან. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ საქმეში დავის საგანი ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.2014წ. №977 ბრძანების ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის ნაწილში ბათილად ცნობას, სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე მ. ხ-ის წარდგენის თაობაზე მინისტრისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებას, გ. ხ-ის სკოლის დირექტორად დანიშნის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას. დავის აღნიშნული ასპექტები ადასტურებს, რომ სადაც სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებულ დავას, რის გამოც მოცემული საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის მე-2 მუხ. მე-3 ნაწ.), სარჩელზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა, მოთხოვნა ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ცნობას (სასკ-ის 22-ე მუხ.), მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალებას (სასკ-ის 23-ე მუხ.), შესაბამისად, მ. ხ-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-

3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ხ-ის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მესამე პირის – გ. ხ-ის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### ადგინისტრაციული განსჯადობა

#### განჩინება

№ბს-423-416 (გ-15) 15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე  
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განხილა ს. დ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავის, მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მესამე პირის – ი. მ-ის მიმართ, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

#### აღნერილობითი ნაწილი:

ს. დ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეს – სა-

ქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის კანდიდატებისა და შესაბამისი სკოლების სიის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.2014წ. ბრძანების ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის ნაწილში ბათილად ცნობა, სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ს. დ-თან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 09.09.2014წ. №1/კ-736 ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე ს. დ-ის წარდგენის თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი 1985 წლიდან 2014 წლამდე აქტიურად არის ჩართული ზოგადი განათლების სისტემაში, ფლობს დირექტორის უფლების მოპოვების დამადასტურებელ სერტიფიკატს და მათემატიკის მასწავლებლის სერტიფიკატს. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ იგი წარმატებით ახორციელებდა ქ. თბილისის №... საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის უფლება-მოვალეობებს. მოსარჩელე ასევე დანიშნული იყო ა. რ-ის სახელობის სააკტორო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. მოსარჩელის აქტიური მოღვაწეობა ზოგადი განათლების სფეროში წარმატებით გაგრძელდა ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულ თანამდებობაზე მოღვაწეობისას მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხსენებული საჯარო სკოლების განვითარებაში. 2006-2012 წლებში მნიშვნელოვნად აიმაღლა კვალიფიკაცია ზოგადი განათლების სფეროში და დაუუფლა ზოგადი განათლების სფეროს თანამედროვე მიდგომებს, რის შედეგადაც იგი არაერთხელ იქნა მიწვეული წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ საერთაშორისო დონის ტრენინგებში ტრენერად და მომხსენებლად. 2007 წ. მოსარჩელე ს. დ-მა კარიერის გასაგრძელებლად საკუთარი ინციატივით აირჩია ქ. თბილისის №... საჯარო სკოლა, სადაც მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლის რეპუტაცია, გადაიჭრა სკოლაში არსებული პრობლემები.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის აგვისტოს თვეში გაი-

არა გასაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათანადო ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიაში. გასაუბრებისას, მან კომისიას წარუდგინა მისი სტრატეგიული ხედვა და გეგმა №... საჯარო სკოლასთან დაკავშირებით, კომისიამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო მისი კანდიდატურა, რის შედეგადაც მოსარჩელე არ იქნა წარდგენილი სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 09.09.2014წ. №1/კ-736 სადავო ბრძანების საფუძველზე შეწყდა შრომითი ურთიერთობა და იგი განთავისუფლდა №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობიდან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კომისიამ არ მოახდინა მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ფაქტობრივი წერილობითი დასაბუთება, არ გამოიკვლია არსებული გარემოებები, სათანადოდ არ შეაფასა გასაუბრებისას მოსარჩელის მიერ წარდგენილი სტრატეგიული გეგმა და ხედვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 17.11.2014წ. საიქმონ განჩინებით დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა და თავდაპირველ მოთხოვნებთან ერთად მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ი. მ-ის დანიშვნის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 09.09.2014წ. №1/კ-698 ბრძანების ბათილად ცნობა. ამავე საიქმონ განჩინებით საქმეში ასკ-ის მე-16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაება სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორი ი. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 10.12.14წ. შუამდგომლობით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა ს.დ-ის მიერ აღძრული სარჩელის განსჯადობით საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას 15.12.2014წ. განჩინებით ს. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქ-

მედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას, და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არ-სებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამ-ცველის თანაშემნის დანიშვნის წესისა. ამდენად, კოლეგიამ მი-იჩინა, რომ დირექტორთა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურსის ჩატარების სა-მართლებრივი საფუძველია „ზოგადი განათლების შესახებ“ კა-ნონი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინის-ტრის 24.02.2011წ. №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესი“. მითითებული კანონის 42-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, დირექტორის კონკურსთან დაკავშირებული სადაცო აქტები სა-ჩივრდება სასამართლოში და გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქ-მდების შეჩერებას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შო-რის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშო-ბილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქა-ლაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიამ მიუთითა ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნანილზე, მე-2 და 26-ე მუხლებზე, სსკ-ის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებზე და ს. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიამ მიუთითა ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნანილზე, მე-2 და 26-ე მუხლებზე, სსკ-ის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებზე და ს. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახე-ზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა. სამო-ქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ „ზოგადი განათლების

შესახებ“ კანონის 12.3 მუხლის დანაწესი საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორებს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავების, როგორც სამოქალაქო დავების, სამოქალაქო სამართლნარმოების წესით სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე, შეიძლება გავრცელდეს უკვე დირექტორის სტატუსის მქონე სუბიექტსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით ურთიერთობაზე. სამოქალაქო კოლეგია თვლის, რომ სადაცო ურთიერთობა ეხება დირექტორის სტატუსის მოპოვებამდე არსებულ ეტაპს – შესარჩევ კონკურსს (რა დროსაც მოსარჩელე არის არა სკოლის დირექტორი, არამედ – დირექტორობის კანდიდატი), რომლის შედეგებსაც ადასტურებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამდენად, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, ვინაიდან გამოცემული არიან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ასკვნის, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ს. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-

ას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯა-დობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს ს. დ-სა და სსიპ სა-ქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შო-რის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის სა-ჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზო-გადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგ-მის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს (დაწყებით, საბაზო და სამუალო) მაინც. მოცემულ შემთხვევაში სადაცო საკონკურსო პროცედურა არა კერძო სკო-ლის, არამედ საჯარო სკოლის ანუ საჯარო სამართლის იურიდი-ული პირის – სკოლის დირექტორის თანამდებობის დაკავება. საკასაციო პალატა ალნიშნავს, რომ საჯარო სკოლის დირექტო-რის შერჩევის პროცესი თავის თავში მოიცავს რთულ პროცე-დურულ მექანიზმს, რომელიც შედგება რამდენიმე სტადიისა-გან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.116. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ თანახ-მად, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი მოი-ცავს რამდენიმე ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატის ასარ-ჩევად წარდგენას, საბჭოს მიერ კონკურსგავლილი დირექტო-რობის კანდიდატთაგან დირექტორის არჩევა, დირექტორის რე-გისტრაციაში გატარება სსიპ განათლების მართვის საინფორ-მაციო სისტემაში, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულ დირექტორ-თან ხელშეკრულების დადება. ხსენებული წესის მიხედვით, სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ მინისტრი ინ-დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამ-ტკიცებს დირექტორობის უფლების მქონე პირთა სიას (მე-17 მუხ.), გასაუბრების შედეგების მიხედვით კომისიის მიერ შერ-ჩეული კანდიდატების და შესაბამისა სკოლის სია მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტით და კანდიდატი ასარჩევად წარედგინება საჯარო სკო-ლის სამეურვეო საბჭოს (მე-20<sup>1</sup>, 21-ე მუხ.). წესის თანახმად, საგამოცდო კომისიის შექმნა ხდება მინისტრის ინდივიდუალუ-რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (მე-6, მე-16, მე-20 მუხ.), ტესტირების ჩატარების თარიღს, ადგილს, ხანგრძლი-

ვობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს მინისტრი (მე-7 მუხ.), დირექტორობის მსურველის ტესტირებიდან მოხსნა, გაფრთხილების, სერტიფიკატის მიცემა ხდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის საფუძველზე (მე-13, მე-18, მე-20 მუხ.). ამდენად, საკონკურსო კომისიის წარდგინების საფუძველზე მინისტრის მიერ გამოცემული აქტი სრულად პასუხობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნიშნებს, სახეზეა ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის ნიშნების კუმულატიური ერთობლიობა. მოცემულ საქმეში მოსარჩელე ითხოვს „იმ კანდიდატთა და შესაბამისი სკოლების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ასარჩევად წარედგინებიან ქალაქ თბილისის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 29.08.14ნ. №977 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის ნაწილში. დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიის კუთვნილებას ადასტურებს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნები, რომლებიც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დაგა საგნობრივი (გვარეობითი) განსჯადობის მიხედვით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია. კოლეგიის მოსაზრება ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11! 1 მუხლს და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი არ გამოირჩხება იმით, რომ სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11! 1, 29-ე-32-ე მუხლების საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11! 1 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება (აღნიშნული მუხლები ეხება კონკურსის წესით დანიშვნის საკითხებს) ვრცელდება აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგისტრირებელ ორგა-

ნოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის დანიშვნის წესისა. აღნიშნული ზოგადი დანაწესი არ გამორიცხავს მითითებულ სფეროების სპეციალურ საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას, მათ შორის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.116. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესით“. ხსენებული აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროთია მოცული, მათი რეგულაციის სივრცეში წარმოშობილი სამართალურთიერთობა საჯარო-სამართლებრივია. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-სააგენტო კომისია, რომელიც იქმნება ამ კანონის 36<sup>2</sup>-ე და 36<sup>3</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29.2 მუხლით გათვალისწინებული წორმატიული აქტით, კერძოდ, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29.2 მუხლის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის 18.06.146. №412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი“ ვრცელდება დადგენილების ამოქმედების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცხადებულ საჯარო კონკურსზე. ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-32-ე მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ კონკურსის ჩატარების წესებს, არ ვრცელდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არ გამორიცხავს მოცემული სადავო სამართალურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას. აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 26.1 მუხლის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე: ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ასარჩევად წარუდგენს საჯარო

სკოლის დირექტორობის კანდიდატს/კანდიდატებს („ო“ ქვეპუნქტი); ადგენს საჯარო სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის შესარჩევი კონკურსების გამართვის წესს, უფლებამოსილია დაადგინოს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულსაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი („შ“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის 42.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. ეს წესი დგინდება „საქართველოს განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.11წ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესით“. ამდენად, სადაცო ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არის დავის ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიისადმი კუთვნილების ნიშანი. ამდენად, საგნობრივი განსჯადობა მოცემულ შემთხვევაში არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-31-ე მუხლებით.

სამოქალაქო სამართალნარმოების წესით მოცემული დავის განხილვის აუცილებლობას არ ადასტურებს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლი, რომელიც საგამონაკლისო წესით განსაზღვრავს სასამართლოს საგნობრივად განსჯად სასამართლოს. ხსენებული ნორმის მიხედვით საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ნარმობობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო. ნორმის სუბიექტია საჯარო სკოლის დირექტორი. სადაცო შემთხვევაში მოსარჩელეს არ გააჩნია დირექტორის სტატუსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24.02.2011წ. №25/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით ერთმანეთისაგან გამიჯნულია: დირექტორობის უფლების მქონე პირი, დირექტორობის კანდიდატი,

დირექტორობის მსურველი (მოცემულ შემთხვევაში საკონკურსო პროცედურის მიზანი სწორედ ისაა, რომ კანდიდატმა დაიკავოს საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა), ამდენად, სახეზე არ არის 12.3 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლზე არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განხილვას.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42.5 მუხლის მიხედვით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ რეგისტრირებულ არჩეულ დირექტორთან სამეურვეო საბჭო დებს შრომით ხელშეკრულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მართალია, საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი საბოლოოდ შრომითი ხელშეკრულების დადგებით მთავრდება, მაგრამ თავად საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ხასიათი, კონკურსის ჩატარების მომწერიგებელი კანონმდებლობა ადასტურებს, რომ საკონკურსო პროცედურა ადმინისტრაციული კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, შესაბამისად, სადავო ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარების. გარდა ამისა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42.6 მუხლის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სადაცო 09.09.14წ., №1/5-698 ბრძანებით სსიპ - ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე 2014 წლის 9 სექტემბრიდან ექვსი წლის ვადით – 2020 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით დანიშნა ი. მ-ი. მინისტრის აღნიშნული სადაცოდ გამხდარი ბრძანება ასევე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის მართლზომიერება ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით უნდა დადგინდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრა-

ციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-მდებლობასთან. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ საქმეში დავის საგანი ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 25.08.14წ. №977 ბრძანების ქ.თბილისის №... სამუნიციალური სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის ნაწილში ბათილად ცნობას, სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე სამეურვეო საბჭოს წინაშე ს. დ-ის წარდგენის თაობაზე მინისტრისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალებას. დავის აღნიშნული ასპექტები ადასტურებს, რომ სადაც სამართლურ-თიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს მორის არსებულ დავას, რის გამოც მოცემული საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს განეკუთხება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის მე-2 მუხ. მე-3 ნან.), სარჩელზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოა, მოთხოვნა ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას (სასკ-ის 22-ე მუხ.), მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალებას (სასკ-ის 23-ე მუხ.), შესაბამისად, ს. დ-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით უნდა დაეკვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. დ-ის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადგინისტრაციული განსჯადობა**

### **განჩინება**

№ბს-553-546 (გ-15)

3 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე  
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე მ. ს-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა, მოპასუხე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართ, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ს-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართ და მოითხოვა სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმო-

მადგენლობითი საბჭოს 28.11.14წ. №2 ოქმისა და სსიპ თბილი-სის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატო-რიის აკადემიური საბჭოს სხდომის 26.01.15წ. №8 ოქმის ბათი-ლად ცნობა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშ-ვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომად-გენლობითი საბჭოს 28.11.14წ. №2 ოქმის შედგენისას დაირღვა მისი გამოცემის წესი, ვინაიდან სხდომაზე კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ნაცვლად მონაწილეობა მიიღო არაუფლებამოსილმა პირმა. ამით დაირღვა სსიპ თბილი-სის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატო-რიის წესდების 21-ე მუხლის მოთხოვნა. აკადემიური საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა წარმომადგენ-ლობითი საბჭოს მუშაობაში, სხდომაზე საკითხის გატანის უფ-ლებამოსილება შეადგენს დეკანის ფუნქციას. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორი-ის აკადემიური საბჭოს სხდომის 26.01.15წ. №8 ოქმთან დაკავ-შირებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კონკურსანტის შეფასე-ბის ფორმაში მითითებულია, რომ კონკურსანტს არ ჩაეთვალა პროფილის შესაბამისი საშემსრულებლო მოღვაწეობა 2012 წლი-დან, კონკურსანტის შეფასების ფორმაში არ არის მითითებული რამდენად შეფასდა ძირითად კრიტერიუმებში მითითებული პო-ზიციები და როგორ იქნა დათვლილი ქულათა რაოდენობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 18.05.2015წ. განჩინებით მ. ს-ის სარჩელი გან-სვადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. „საჯარო სამსა-ხურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>ე</sup> მუხლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იუ-რიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებ-ლო ან რელიგიურ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მი-იჩინა, რომ ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მიღების კონ-კურსი არ ჩატარებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კონკურ-სის ჩატარების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორ-განული კანონი „საქართველოს მრომის კოდექსი“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 07.07.14წ. №05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ დავა სამოქალაქო სამართლწარმოების წესით არის განსახილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 16.07.15წ. განჩინებით მ. ს-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6, მე-8, მე-10 მუხლებზე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 და მე-16 მუხლებზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარე – სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია არის ის საგამონაკლიისო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელზეც ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნები. სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოპასუხე დაწესებულება ნამდვილად არის ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო სადაცოდ ქცეული და გარკვეული სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი გადაწყვეტილებანი შეიცავენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით რეგულირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ელემენტებს. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ დავა ადმინისტრაციული წარმოების წესით უნდა განხილულიყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ მ. ს-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე ნარმოშიბილ დავებს. განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს მოსარჩელესა და სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურ-თერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი არ გამოირიცხება იმით, რომ კონკურსი არ ჩატარებულა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება (აღნიშნული მუხლები ეხება კონკურსის წესით დანიშვნის საკითხებს) ვრცელდება აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, რომელიც ენევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგისტრირებელ ორგანისათან არსებული მომსარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის დანიშვნის წესისა. აღნიშნული დანაწესი არ გამორიცხავს მითითებული სფეროების სპეციალურ საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 07.07.14ნ. №05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებით“. ხსენებული აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროთია მოცული, მათთვის კონკრეტული სივრცეში წარმოშობილი სამართალურთიერთობა საჯარო-სამართლებრივია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29.2 მუხლის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობის 18.06.14ნ. №412 დადგენილება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი“ ვრცელდება დადგენილების ამოქმედების შემდეგ ადმინისტრაციული ორგანის მიერ გამოცხადებულ საჯარო კონკურსზე. ის გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-32-ე მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ კონკურ-

სის ჩატარების წესებს, არ ვრცელდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არ გამორიცხავს მოცემულ სადავო სამართლურთიერთობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრციდან, არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი ახდენს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პერსონალის კლასიფიკაციას აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალად (32-ე მუხ.). კანონი ადგენს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ვაკანსიის დაკავების ერთიან წესებს, აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების აუცილებელ პირობად კანონი ადგენს ღია კონკურსს (34-ე მუხ.), ხოლო დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან გათავისუფლების უფლებამოსილებას ანიჭებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც ამ უფლებამოსილებას ახორციელებს შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 34.3 მუხლის თანახმად, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. ამდენად, უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალდებულია კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით აკადემიური თანამდებობის ვაკანსიის დასაკავებლად ჩატაროს კონკურსი, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის ჩატარების შედეგად აკადემიურ პერსონალთან იდება შრომითი ხელშეკრულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი საკონკურსო პროცედურის რეგლამენტაცია, კონკურსის შედეგად აკადემიური პერსონალის შერჩევა და დანიშნვნა ხდება არა შრომის კანონმდებლობის, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობით, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 07.07.14ნ. №05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებით“. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 24.12.13ნ. №358 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 07.07.14ნ. №05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ 27.1 მუხლის თანახმად, აკადემი-

ური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. წესდების 8.1 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადგენს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. ამდენად, მოცემული სადაცო სამართალურთიერთობა მოსარჩევესა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, სადაცო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ზემოაღნიშვნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მოსაზრებას საქმის განსახილველად ადმინისტრაციული კოლეგისათვის გადაცემის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რეგულაციების შესაბამისად, მოპასუხე დაწესებულება ნამდვილად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის პროცესში აქტები გამოიცემა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. დავის გადაწყვეტა საჭიროებს აქტების ადმინისტრაციული კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადაცო ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არის დავის ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველი. სასკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ს-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ის სარჩელი სსიპ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადმინისტრაციული განსჯადობა

### განხილვა

№ბს-508-501(გ-15)

15 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 02.06.2015 წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქარ-

თველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 17.04.2014 წლის №14/5 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2008 წლის 23 სექტემბერს აპონენტ გ. ბ-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები. 2008 წლის 13 ნოემბერს გ. ბ-ი სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი-გაფრთხილება. სემეკის 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით აპონენტი გ. ბ-ი გათავისუფლდა შეს „...“ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 ივნისის განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სარჩელი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რადგან მოცემული დავის საგანი არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მატერიალური თვალსაზრისით შემოწმებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანი წარმოშობილია კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ უნდა შეფასდეს ბუნებრივი გაზის მოწოდების თაობაზე ბუნებრივი აირის განაწილების ლიცენზიანტსა და მომხმარებლს შორის ხელშეკრულების არსებობის, მომხმარებლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების არსებობის, მომხმარებლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებისა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების კანონიერების საკითხი. წარმოდგენილი სარჩელი მიეკუთნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქეებუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას, შესაბამისად, მოცემული დავა სამოქალაქო სამართალნარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით – მხოლოდ ის გარე-მოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრა-ციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძო სამართლებრივ ხა-სიათს და ვერ განაპირობებს მის ადმინისტრაციული სამართალ-ნარმოების წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით, შპს „...“ სარჩელი, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, საქმე გადაეგზავნა სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ად-მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებას განსჯადობას-თან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ეროვნული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, საქარ-თველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებე-ლი ეროვნული კომისია წარმოადგენს კანონის საფუძველზე შექ-მნილ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ კოლე-გიური მართვის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც კანონ-მდებლობით მინიჭებული აქვს დამატებითი საჯარო უფლება-მოსილება გადაწყვიტოს მის რეგულირებას დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე ამ საწარმოებსა და მოშემარებელს შორის არსებული დავები. აღნიშნული დავები განიხილება საჯარო მოს-მენის წესით და საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში გამო-იცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტი, რომელიც საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლო-ებში ადმინისტრაციული წესით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების გაცნობის შედე-გად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლე-ბამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დაგას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სადაცო საქართველოს ენერ-გეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული

კომისიის 17.04.2014 წლის №14/5 გადაწყვეტილება, მოსარჩეულების მოითხოვს მის ბათილად ცნობას. ამდენად, განსჯადობის საკითხის გარკვევა საჭიროებს ამ აქტის და მისი გამომცემი ორგანოს სისი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტატუსის გარკევას.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მეორე მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოსგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფო მმართველობრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აფრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სახის საჯარო საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამდენად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციუ-

ლი კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ელექტრონურგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ლიცენზიანტებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 06.03.2014 წ. №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებით“ გათვალისწინებულ კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, ხოლო ამ ფუნქციის განსახორციელებლად ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებული დარიცხვის კანონიერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – სისპ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილების ფარგლები, აქტის ფორმალური კანონიერების დადგენა დავის განხილვის არსებით საკითხთა სფეროს განეკუთვნება, ცდება განსჯადობასთან დაკავშირებული დავის საზღვრებს და არ მოქმედებს განსახილველი დავის განსჯადობაზე. სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადაწყვეტა არ გულისხმობს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სემეკ-ის უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემის დადგენას, მიღებული აქტის მატერიალური კანონიერების დადგენას, აღნიშნული საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადასაწყვეტი საკითხია (ამავე საკითხზე იხ. სუსგ №ბს-249-245(გ-15)).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდე-

ბაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ადგინისტრაციული განსჯადობა**

#### **განხილვა**

№ბს-507-500 (გ-15)

12 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა სსიპ შემოსავლების სამსახურის შუალედობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ბათუმის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ შემოსავლების სამსახურმა ბათუმის საქალაქო სასა-მართლოს შუამდგომლობით მიმართა დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ შემოსავლების სამსა-ხურის 2015 წლის 26 თებერვლის №081-234 და 2015 წლის 27 აპრილის №13591 ბრძანებების საფუძველზე შპს „ბ. პ-ს“ საგა-დასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით ფიზიკურ პირ მ. ხ-ის საგადასახადო გირავნობა/იპოთე-კით დატვირთულ ქონებას დაედო ყადაღა. შპს „ბ. პ-ს“ აღიარე-ბული საგადასახადო დავალიანება შეადგენს 12945804,90 ლარს. საგადასახადო ორგანო იყენებს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებულ ლონისძიებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2015 წლის 18 ივნისის განჩინებით სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის შუამდგომლობა, განსჯადობის წესების დაც-ვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცე-სო კოდექსის 21<sup>ე</sup>-ე მუხლის საფუძველზე, შუამდგომლობა უნ-და განეხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიას, ვინაიდან შპს „ბ. პ-ს“ რეგისტრირე-ბულია თბილისში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგია არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესა-ხებ.

სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ შემოსავლების სამსახუ-რი ითხოვს ფიზიკური პირის – მ. ხ-ის კუთვნილი დაყადაღებუ-ლი უძრავი ქონების იძულებით ლია აუქციონზე რეალიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბ. პ-ს“ აღიარებული გადა-სახადის გადამხდელს წარმოადგენს მ. ხ-ე, რომლის ადგილსამ-ყოფელი და რეგისტრაციის მისამართია ქ. ...., ...-ის ქ. №45ა, ბ8.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

სკავასაციონ სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „ბ. პ-ს“ აღიარებული საგადასახადო დავალიანება შეადგენს 12945804,90 ლარს. ამ დავალიანების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 26 თებერვლის №081-234 და 2015 წლის 27 აპრილის №13591 ბრძანებების საფუძველზე ფიზიკურ პირ მ. ხ-ის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთულ ქონებას დაედო ყადაღა. დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით სსიპ შემოსავლების სამსახურმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დაგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>21</sup>-ე მუხლის თანახმად, ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (სა-

ქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამდენად, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სპეციალურ განსჯადობას და ადგენს, რომ შუამდგომლობა დაყადაღებული ქონების რეალიზაციის თაობაზე შეტანილი უნდა იქნეს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ ნორმის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საგადასახადო დავალიანების ამოღების უზრუნველყოფის მიზნითაც ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ქონებითაა უზრუნველყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული მისი დავალიანება.

მოცემულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ საგადასახადო დავალიანება გააჩნია შპს „ბ. პ-ს“, რომელიც უზრუნველყოფილია მ. ხ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე დადგებული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით, ამდენად, შუამდგომლობა ქონების რეალიზაციის თაობაზე შეტანილი უნდა ყოფილიყო შპს „ბ. პ-ს“ ადგილსამყოფელის მიხედვით. საქმის მასალები ადასტურებს, რომ შპს „ბ. პ-ს“ იურიდიული მისამართია თბილისი, ... №78, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალტამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, 21<sup>21</sup>-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა დაყადაღებული ქონების რეალიზაციის თაობაზე განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზრუნველისი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

### განხილვა

№ბს-447-440(გ-15)

15 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. კ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის სსიპ განათ-  
ლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ და  
მოითხოვა საკონკურსო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის  
სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების – არქივარიუსის ვა-  
კანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის ნაწილ-  
ში (ოქმი №37), ბათილად ცნობა, კონკურსის შედეგების გაუქ-  
მება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის  
დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №43/კ ბრძანების ბათი-  
ლად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ  
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის  
დირექტორის 2013 წლის 1 თებერვლის №12/კ ბრძანებით 2013  
წლის 1 თებერვლიდან დაინიშნა სსიპ განათლების ხარისხის გან-  
ვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციაში არქივარი-  
უსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, ხოლო სსიპ  
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დი-  
რექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №43/კ ბრძანებით გათავი-  
სუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შრომის კოდექსის 37-ე  
მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის, 21-ე  
მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში საჯა-  
რო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრაციული ვებ-გვერდის  
მეშვეობით 2013 წლის 5 ნოემბრის არქივარიუსის თანამდებო-  
ბაზე გამოცხადდა კონკურსი, რომელიც ჩატარდა სამ ეტაპად.

კონკურსის პირობები ჩამოყალიბდა ზოგადად, არასრული სახით. გამოქვეყნებული პირობებიდან ობიექტურად არ დგინდებოდა თუ რა კრიტერიუმებით უნდა გამოვლენილიყო გამარჯვებული, რითაც დაირღვა „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც კონკურსში გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისთვის.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციის 5 თანამშრომლიდან ტესტირება ჩაუტარდა 2 თანამშრომელს, მათ შორის, მოსარჩელეს და ორივე მათგანი გაათავისუფლეს სამსახურიდან, ხოლო დანარჩენ სამ თანამშრომელს ჩაუტარდა მხოლოდ გასაუბრება, რითაც დაირღვა „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განმტკიცებული პრინციპი – არადისკრიმინაციულობა, რომლის თანახმადაც კონკურსის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა თანასწორობას.

მოსარჩელემ წარმატებით გაიარა კონკურსის ორი ეტაპი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013 წლის 29 ნოემბრის ელექტრონული შეტყობინებით ეცნობა, რომ გადავიდა მესამე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

საკონკურსო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის №37 სხდომის ოქმით ირკვევა, რომ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება არქივარიუსის მოვალეობის შემსრულებლის – ზ. კ-ის შრომითი ურთიერთობა შეწყდეს 2013 წლის 31 დეკემბრიდან.

მოსარჩელის განმარტებით, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და თანამდებობიდან მისი გათავისუფლების ვადის დადგენა – კანონსაწინააღმდეგოა. კომისიის ფუნქციებში გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენაა და არა ის, თუ ვინ და როდის უნდა იქნეს გათავისუფლებული თანამდებობიდან. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრაციული ვებ-გვერდის მეშვეობით 2013 წლის 5 ნოემბერს არქივარიუსის თანამ-

დებობაზე გამოცხადებული კონკურსი ჩატარდა უკანონოდ. დარღვეულ იქნა „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულების მე-8 მუხლი, არ შექმნილა საპრეტენზიო კომისია. მოსარჩელის განმარტებით, უცნობია რა კრიტერიუმებს დაეყრდნო კომისია გამარჯვებულის გამოვლენისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 თებერვლის განჩინებით ზ. კ-ის სარჩელი, მოპასუხე სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ საკონკურსო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების (ოქმი №37) ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და კონკურსების შედეგების გაუქმების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის №43/კ ბრძანების ბათილად ცნობის და თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე გადაეც ზავნა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქ-

მიანობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად და მასში საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, მოსარჩელის, როგორც საჯარო მოხელეთა თანამდებობა, არ არის მოხსენებული არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივნისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. შესაბამისად, მოსარჩელე ვერ მიიჩნევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად. ამდენად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო ურთიერთობების მოწესრიგებისას გამოყენებული უნდა იქნეს კერძო სამართლის კანონმდებლობა – საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ წერიგდება სხვა სპეციალური კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. კ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განჩინებით ზ. კ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ არ იზიარებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას, კონკრეტული სადავო ურთიერთობის მოწესრი-

გებისას კერძო სამართლის კანონმდებლობის – საქართველოს შრომის კოდექსისა და არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. სააპელაციო პალატის განმარტებით, ზ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომის (ოქმი №37) გადაწყვეტილება. აღნიშნულ სხდომაზე კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად დაადგინეს – „არქივარიუსის მოვალეობის შემსრულებელს ზ. კ-ეს შრომითი ურთიერთობა შეუწყდეს 2013 წლის 31 დეკემბრიდან“. სწორედ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, კონკურსის შედეგების გაუქმებას და, როგორც თანმდევი შედეგის, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობას და თანამდებობაზე აღდგენას ითხოვდა მოცემული სარჩელით ზ. კ-ე. ამდენად, უდავოა, რომ მითითებული სასარჩელო მოთხოვნებიდან უმთავრესია ის მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომის (ოქმი №37) ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების ბათილობას. ამასთან, მოსარჩელის ეს მოთხოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ კონკურსი ჩატარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების და „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით. ამასთან, საქალაქო სასამართლომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სადაცი გადაწყვეტილება სწორედ მითითებულ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის კუთხით შეამონება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლზე („საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე ამ კანონის მოქმედების გავრცელების წესი“. 29.06.2012. №6611) და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მითითებული ნორმების ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ 29.06.2012, №6611 კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და ჩატარება ხდება ადმი-

ნისტრაციული სამართლის კანონმდებლობის, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (დღეს მოქმედი რედაქციით – „საქართველოს მთავრობის დადგენილებით“) დამტკიცებული წესის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის (დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან), ისე მასში მონაწილე სამართალსუბიექტის (მოპასუხე სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოა) მიხედვით, ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად ზ. კ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარებდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად და მასში საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, მოსარჩევის, როგორც საჯარო მოხელეთა თანამდებობა, არ არის მოხსენიებული არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. შესაბამისად, მოსარჩევე ვერ მიიჩნევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სადაცო ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებულ უნდა იქნეს კერძო სამართლის კანონმდებლობა – საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 9.06.2012, №6611 კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და ჩატარება ხდება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (დღეს მოქმედი რედაქციით – „საქართველოს მთავ-

რობის დადგენილებით“) დამტკიცებული წესის საფუძველზე. მოსამართულებრივი მინისტრი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად და სადაც სამართალურთიერთობები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სადაც სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ზ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2014 წლის 5 თებერვლის განჩინებით საქმე – ზ. კ-ის სარჩელისა გამო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ საკონკურსო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების (ოქმი №37) ნაწილობრივ ბათილად ცნობის და კონკურსის შედეგების გაუქმების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის №43/კ ბრძანების ბათილად ცნობისა და თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, განსჯადობის წესით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. კ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 6 მაისის განჩინებით ზ. კ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად ზ. კ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში გახილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლისარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემ-

დებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონ-მდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქ-მებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუ-ნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურ-თიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, მოქალაქეებს, მოქალა-ქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შო-რის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილე-ბელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძ-ნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გა-მომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფ-ლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-ბის დარღვევით.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სა-კონკურსო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე მიღე-ბული გადაწყვეტილების – არქივარიუსის ვაკანტურ თანამდე-ბობაზე გამოცხადებული კონკურსის ნაწილში (ოქმი №37), ბა-თილად ცნობა და კონკურსის შედეგების გაუქმება და ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დი-რექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №43/კ ბრძანების ბათი-ლად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ განათლების ხარისხის განვითა-რების ეროვნული ცენტრი ადმინისტრაციული ორგანოა. საკა-საციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთ-ხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადა-ვო სამართალურთიერთობის ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს.

ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწ-ყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადაცო ბრძანების გამოცე-მის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმე-

დების ფორმას. რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სა-დავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძ-ველზე, ზაქ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძ-ველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრა-ციულ აქტად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სსიპ განათლების ხა-რისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 1 თებერვლის №12/კ ბრძანებით საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შე-სახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სა-მართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითა-რების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ზ. კ-ე 2013 წლის 1 თებერვლიდან დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიუ-ლი პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციაში არქივარიუსის მოვალეობის შემ-სრულების თანამდებობაზე. ზ. კ-ეს შრომის ანაზღაურება გა-ნესაზღვრა ცენტრის სამტატო განრიგის შესაბამისად. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე – ზ. კ-ე ზემოაღნიშნულ ბრძანებას გაეცნო 2013 წლის 1 თებერვალს, საკასაციო სასა-მართლოს განმარტებით, შრომის კოდექსის 6.3 მუხლის მიხედ-ვით, პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მი-ერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამ-საქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბ-რდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. სწორედ უკანას-კელი ნორმა წარმოადგენდა განათლების ხარისხის განვითა-რების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციაში არქივარიუსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ზ. კ-ის დაინიშ-ვნის ძირითად საფუძველს. სამოქალაქო სამართალნარმოების წესით საქმის განხილვის გამომრიცხავ გარემოებას არ ქმნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმის საფუძველზე ზ. კ-ის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა, აღნიშნული მი-ანიშნებს გარევეული ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორ-მებას. ხელშეკრულების დროებით ხასიათზე უთითებს ის, რომ მოსარჩელის სამსახურში მიღების ერთ-ერთ საფუძვლად მიე-

თითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით პირი უკონკურსოდ ინიშნება დროებით მოვალეობის შემსრულებლად იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შევსებულიყო. დანიშვნის საფუძვლად 01.02.2013წ. ბრძანებაში დამატებით ასევე მითითებულია საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, ცენტრის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს. ხოლო „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს და საქმიანობის წესს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 1-ლ მუხლზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში, ხოლო მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად და, მათ შორის, არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტო შექმნილია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითა-

რების ეროვნული ცენტრის“ დებულების შესაბამისად, ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ლოგო, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მუშაკი არ არის საჯარო მოსამსახურე. სადაცო აქტში განთავისუფლების ძირითად საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლია მითითებული, კერძოდ, მისი „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად ითვალისწინებს დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობას მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის მითითება, რომ მოსარჩევეს კონკურსი ჩაუტარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ამიტომ დავა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა ანუ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 20.11.2013წ. №1598-რს კანონით შეტანილი ცვლილებებით კანონის მე-11<sup>ე</sup> მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვით, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე-32-ე მუხლებით ხდება კონკურსის გამოცხადების, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენისა და თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის რეგულაცია. კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება არა უმეტეს 3 თვის ვადით, იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია. ამდენად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კონკურსი უნდა ჩატარებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე. აღნიშნული არ ცვლის განსჯადობის წესს, ვინაიდან, ზ.

კ-ე მუშაობდა რა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, არამედ შრომის კოდექსი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №43/კ ბრძანებით საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც აღნიშნული ბრძანება წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №43/კ ბრძანების კონკურსის შედეგების საფუძველზე გამოცემა, მოცემულ შემთხვევაში არ აქცევს დავას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად. ამასთანავე, სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განშხილველ სასამართლოს შეუძლია გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არა მხოლოდ კერძო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და კერძო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს საჯარო-სამართლებრივი რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისაგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არ წამოიჭრება პრეიუდიციის საკითხი, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადამწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა. ამდენად, სადავო აქტში „სა-

ჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების მითითება არ გა-  
მორიცხავს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გან-  
ხილვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზი-  
არებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ დავა განსჯადობით სამო-  
ქალაქო საქმეთა პალატას ექვემდებარება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, 26-ე  
მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. კ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის გან-  
ვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ განსჯადობით განსა-  
ხილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. განჩინება საპოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯაზობა

### განჩინება

№ბს-506-499(გ-15)

22 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე  
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-  
ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სა-  
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის  
მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სასამართლო გან-  
ცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის  
შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „...“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგიას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომი-  
სიის (ცესკოს) წინააღმდეგ სარჩელით მიმართა და მოითხოვა  
მოპასუხისათვის ძირითადი დავალიანების – 16680 ლარის, ასე-  
ვე ვერგასამტებლოს – 14900 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე განმარტავს, რომ 2007 წლის 10 აგვისტოს სა-  
ქართველოს მთავრობასა და შპს „...“ შორის ურთიერთგაგების  
მემორანდუმი გაფორმდა ერთიანი სამთავრობო ქსელის შექ-  
მნასთან დაკავშირებით. მემორანდუმის ფარგლებში შპს „...“ და  
ცესკოს შორის 2011 წლის 28 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულე-  
ბა, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ეტაპობრივად უზრუნველ-  
ყოფდა დაკვეთის ჩართვას ერთიან სამთავრობო ქსელში და  
ასევე თანმდევი მომსახურების განევას. ცესკოს 2011 წლის 18  
აგვისტოს წერილის საფუძველზე ხელშეკრულება შეწყდა და  
შეწყვეტილად ჩაითვალა 2011 წლის 20 სექტემბრიდან. ხელშეკ-  
რულების შეწყვეტას წინ უსწრებდა ცესკოს პრეტენზია „...“ მი-  
მართ მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. მიუხედავად  
იმისა, რომ მომსახურების ნაკლი არ დადასტურდა, ცესკო უარს

ამბობს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებაზე და დავალიანების გადახდაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი ცესკოს მიმართ, განსჯადობის წესების დაცვით, განსახილვებლად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 28 იანვრის ხელშეკრულების საფუძველს არ წარმოადგენს მხარეთა ნების ავტონომია, არამედ იგი დადებულია სავალდებულო წესით, 2007 წლის 30 ივლისის №408 განკარგულების საფუძველზე, სადაც ცესკო არ მოქმედებდა ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში, არც გარიგების შინაარსისა და არც კონტრაჭენტის არჩევის თვალსაზრისით.

სასამართლოს აზრით, 2011 წლის 28 იანვრის ხელშეკრულება არ ატარებს კერძოსამართლებრივ ხასიათს და მხარეები არ არიან სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მატარებლები. ხელშეკრულების დადება მოხდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული ერთიანი სამთავრობო ქსელით მომსახურების შესყიდვის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი ცესკოს მიმართ, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით, გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებით, 2011 წლის 18 იანვრის ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მახასიათებელ ნიმუშს. მსგავსი შინაარსის ხელშეკრულებებს გააფორმებდა შპს „...“. რომელიმე მსხვილ კორპორაციულად ორგანიზებულ სუბიექტთან, რომელსაც ერთიანი ქსელი ესაჭიროება საქმიანობის ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელების მიზნით. სასამართლოს მოსაზრებით, 28.01.11 წლის ხელშეკრულება ნარდობის (მომსახურების) ხელშეკრულებაა.

სასამართლომ ასევე შეისწავლა საქართველოს მთავრობის 30.07.07 წლის №408 განკარგულება და ურთიერთგაგების მემორანდუმი. სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „...“ შესთავაზა სახელმწიფოს საუკეთესო გადაწყვეტილება სამთავრობო ქსე-

ლის მოწყობისათვის და იკისრა პროექტის ხარისხიანად განხორციელების პასუხისმგებლობა. რაც შეეხება ერთიან სამთავრობო ქსელს, მემორანდუმში მითითებულია, რომ სამთავრობო და სახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ სხვადასხვა ოპერატორის მომსახურებას, რაც ინვესტ ხარჯების გაზრდას და ქსელების ურთიერთ შეუთავსებლობას. ერთიანი სამთავრობო ქსელი უზრუნველყოფს საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურების მიღებას მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მაღალი მასშტაბის ეფექტის გათვალისწინებით, ფართოზოლოვან ქსელთან შეთავსებასა და გაუმჯობესებულ უსაფრთხოებას.

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ერთიანი ქსელის მოწყობას ახორციელებს მრავალი კერძო სამართლის იურიდიული პირი. მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულებას არ ანიჭებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მახასიათებელ თვისებებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლება-მოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდებეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, სააღვილმშეულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან ნარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგ-

რეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩევის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩევის მიერ მითითებული საკუთარო უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-

ბის დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში სადაცოა შპს „...“ და ცესკოს შორის 2011 წლის 28 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიყუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს თავის საქმიანობაში კერძო-სამართლებრივი ფორმები და, შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის 65<sup>1</sup> მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხ., სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაბილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება; ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელ-

შეერულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მტკიცებას, რომ შპს „...“ და ცესკოს შორის ხელშეერულება დაიდო მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სავალდებულო რეჟიმში და არ ეყმარება ნების თავისუფლებას, შესაბამისად, არ არის კერძოსამართლებრივი.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი და ყურადღებას ამახვილებს, რომ შესავალი ნაწილის მიხედვით, სამთავრობო და სახელმწიფო დანესებულებები იყენებენ სხვადასხვა ოპერატორის მომსახურებას, რაც ინვესტ ხარჯების გაზრდას და ქსელების ურთიერთ შეუთავსებლობას. ერთიანი სამთავრობო ქსელი უზრუნველყოფს საინფორმაციო-საკომუნიკაციო მომსახურების მიღებას მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მაღალი მასშტაბის ეფექტის გათვალისწინებით, ფართოზოლოვან ქსელთან შეთავსებასა და გაუმჯობესებულ უსაფრთხოებას, ამასთან, შპს „...“ მემორანდუმი გაფორმდა იმ საფუძვლით, რომ მან შესთავაზა საუკეთესო პირობები და იკისრა პროექტის ხარისხიანად განხორციელების პასუხისმგებლობა. მემორანდუმის საფუძველზე, სამთავრობო ქსელში ჩასართავად თანხმობა მიეცათ დანართ №2-ში მითითებულ უწყებებს. სამთავრობო ქსელში უნდა ჩართულიყვნენ ასევე ის დანესებულებები, რომლებმაც ინდივიდუალურად მიმართეს შპს „...“ მომსახურების მისაღებად მემორანდუმის გაფორმებამდე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მემორანდუმი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრავალსუბიექტიანი ე.წ „ჩარჩო-ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც მისმა მონაწილეობა გააფორმეს ინდივიდუალური ხელშეკრულებები, მათ შორის, ცესკომაც. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ვერტიკალური იერარქია და სუბორდინაციის პრინციპის დაცვა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომი ორგანოს ან აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანხმობის მოპოვების აუცილებლობა ხელშეკრულების დასადებად არ გამორიცხავს ამ ხელშეკრულების კერძოსამართლებრივ ბუნებას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ხელ-

**შეკრულების შინაარსი.**

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ურთიერთგა-  
გების მემორანდუმი და არც შპს „...“ და ცესკოს შორის 2011  
წლის 28 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება არ აღჭურავს  
შპს „...“ საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. ხელ-  
შეკრულების დადების შედეგად არ წარმოიქმნება ინდივიდუა-  
ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან  
საჯარო ქმედების (რეალაქტის) მოვალეობა. მხარეთა შორის და-  
დებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ  
ორგანოს დაეკისრა შესრულებულ სამუშაოთა მიღების და თან-  
ხის გადახდის ვალდებულება. ამდენად, მხარეთა შორის დადე-  
ბული ხელშეკრულება არ წარმოშობს ადმინისტრაციული აქტის  
გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიებების განხორ-  
ციელების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომ 2011  
წლის 28 იანვრის ხელშეკრულება არის ნარდობის/მომსახურე-  
ბის ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამარ-  
თლებრივი ხელშეკრულებისაგან გაძიჯვნისათვის, ხელშეკრუ-  
ლების მიზნის და საგრის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს  
ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლო-  
ბის საფუძველზე. სასკ-ის 2.3 მუხლის შესაბამისად სასამარ-  
თლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განი-  
ხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან  
დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციუ-  
ლი სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემული სარჩელის ფარ-  
გლებში, სადაც განხეული მომსახურების საფასურისა და ვალ-  
დებულების შესრულებლობისათვის პირგასამტებლოს გადახ-  
და, ვალდებულების შესრულებისა და ვალდებულების უზრუნ-  
ველყოფის მომწესრიგებელი სამოქალაქო სამართლებრივი  
ნორმების საფუძველზე, ამდენად, სადაც სამართალურთიერ-  
თობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლო-  
ბიდან. სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინის-  
ტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრუ-  
ლების დადებასთან, შესრულებასთან და შენცვეტასთან დაკავ-  
შირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალნარმოე-  
ბის წესით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეთა შო-  
რის არსებული სადაც სამართალურთიერთობა გამომდინარე-

ობს ხელშეკრულებიდან, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი ცესკოს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯაზობა

### განჩინება

№ბს-4-4(გ-15)

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 3 დეკემბერს სსიპ იუსტიციის სახლმა სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – მ. ქ-ის მიმართ და მოითხოვა მ. ქ-ს სსიპ იუსტიციის სახლის სასარგებლოდ დაკისრებოდა ზედმეტად გადახდილი თანხის – 407,07 ლარის გადახდა (მათ შორის: ხელფასის – 348,63 ლარის, სადაზღვევო პრემიის – 57,44 ლარი).

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მ. ქ-ი 2014 წლის 4 მარტიდან დაინიშნა სსიპ იუსტიციის სახლში ... თანამდებობაზე. 2014 წლის 30 ივლისის სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის №375/კ ბრძანებით 2014 წლის 2 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო შიდა აუდიტის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №011568 დასკვნა, რომლის შესაბამისადაც, მ. ქ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა იუსტიციის სახლის შინაგანანესის 32-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მრომის დისციპლინის დარღვევას, კერძოდ, მოპასუხე არასაპატიო მიზეზით 5 დღით და მეტი ვადით არ გამოცხადდა სამუშაო ადგილზე, რამაც გამოიწვია იუსტიციის სახლის შინაგანნესის 34.8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა – დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება.

მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან მ. ქ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოიცა 2014 წლის 30 ივლისს, ხოლო სამსახურიდან გათავისუფლდა 2014 წლის 2 მაისიდან და მაი-

სის თვეში არ არსებობდა ბრძანება გათავისუფლების თაობაზე, იუსტიციის სახლის მიერ განხორციელდა ხელფასის სახით დასაქმებულისათვის 368 ლარის ჩარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე, საიდანაც ზედმეტად ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 348,63 ლარი. ასევე მოსარჩელის მითითებით, სის იუსტიციის სახლის მიერ ხორციელდება დასაქმებული პირების დაზღვევა და თითოეულ დასაქმებულ პირზე, იუსტიციის სახლის სახსრებით ხორციელდება ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადახდა 19,49 ლარის ოდენობით, შესაბამისად, მ. ქ-იც იქნა დაზღვეული და მასზე ყოველთვიურად ხორციელდებოდა 19,49 ლარის გადახდა. ვინაიდან, გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოიცა 2014 წლის 30 ივლისს, სადაზღვეო კომპანია ირაოსთვის ავგისტომდე სადაზღვეო კომპანიისათვის მ. ქ-ის გათავისუფლების თაობაზე ინფორმაციის მინოდება ვერ მოხდა და მისთვის მაისის, ივნისის და ივლისის თვეების იუსტიციის სახლის მიერ გადახდილმა სადაზღვეო პრემიამ შეადგინა 58,47 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების თაობაზე არაერთხელ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება მოპასუხე – მ. ქ-ს, მაგრამ აღნიშნული მის მიერ არ განხორციელებულა, რაც სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე, წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებას, რის გამოც მოპასუხეს ეკისრება ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელოს ზემოაღნიშნული თანხების უკან დაბრუნება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სის იუსტიციის სახლის სარჩელი მოპასუხე მ. ქ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო კოლეგიის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილი სარჩელით მოთხოვნილია საჯარო მოსამსახურისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რომელიც რეგულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით, რის გამოც იგი არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსახილველ საქმეს, იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაა და საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსახილველია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 იანვრის განჩინებით სასამართლო არ დაეთანხმა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას სარჩელის ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განხილვის თაობაზე და სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად სსიპ იუსტიციის სახლის სარჩელი გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას (მის: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 32).

სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად, „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება გარდა იმ შემთხვევისა როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრებისა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან“, ამავე კოდექსის 385-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესს, რომლის თანახმად, „ის რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით უკან იქნეს გამოთხოვილი“ სსიპ იუსტიციის სახლის მხრიდან მ. ქ-ს სასარგებლოდ განხორციელდა რა ვალდებულების გარეშე თანხის გადახდა, რაც სამოქალაქო კოდექსის თანახმად უკან უნდა იქნეს მოთხოვნილი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების შესაბამისად. ამასთან, ამავე კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა შეიძლება მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაპრუნება, თუ ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“. სასამართლოს განმარტებით, სსიპ იუსტიციის სახლსა და მ. ქ-ს შორის არსებობდა შრომითი ურთიერთობა, შესაბამისად, იუსტიციის სახლს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გააჩნდა ვალდებულება განეხორციელებინა მ. ქ-ისათვის ხელფასის გადახდა, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მ. ქ-ის გათავისუფლების ბრძანება გამოცემულია 2014 წლის 30 ივლისს, რომლის თანახმად მ. ქ-ის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან განხორციელდა 2014 წლის მაისიდან (სამუშაოს თვითნებურად დატოვების დღიდან) ბრძანების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანო-

ნი „საქართველოს შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს იუსტიციის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №148 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 28 ოქტომბრის №139/ს ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის 32-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი, 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალების მიხედვით აღნიშნული განთავისუფლების ბრძანება დღემდე დალაშია და არ გამზდარა სასამართლოს მსჯელობის საგანი).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დავის საგანია ზედმეტად გადახდილი თაობის უკან დაბრუნება, რომელიც არ რეგულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, განსახილველ საქმეს და არ უნდა იქნეს მიჩნეული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ იუსტიციის სახლის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-

მდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენს მოპასუხის – მ. ქ-ისათვის იუსტიციის სახლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელე სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 976-ე მუხლებზე მიუთითებს.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. ვინაიდან ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევისათვის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებიდან, ან იმ კანონის დებულებიდან გამომდინარეობს, რომელიც აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი როგორც საქმის მასალებით დასტურდება მ. ქ-ი სისპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 4 მარტის №152/ს ბრძანების საფუძველზე 2014 წლის 4 მარტიდან დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველო-

ბის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალის ... თანამდებობაზე და თანამდებობრივი სარგო განესაზღვრა თვეში 460 ლარის ოდენობით. დანიშვნის საფუძველი იყო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №148 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 30 ივნისის №375/კ ბრძანებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალის ... მ. ქ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2014 წლის 2 მაისიდან. გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №148 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის შინაგანანესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – იუსტიციის სახლის“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 28 თებერვლის №139/ს ბრძანებით დამტკიცებული შინაგანანესის 32-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის პირველი პუნქტისა და მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა სადაც სამართალურ-თიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწეს-

რიგებული (ენუმერაცია). ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მ. ქ-ის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იუსტიციის სახლის თბილისის ... თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 4 მარტის №152/ს ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №148 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ-ში დასაქმებული პირი არ არის საჯარო მოხელე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში (1.1 მუხ.), სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება (2.1 მუხ.). „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. საკართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს №148 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ დებულების შესაბამისად, იუსტიციის სახლს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სახელმწიფო დაწე-

სებულებების ჩამონათვალი, რომლებშიც საქმიანობა საჯარო სამსახურად ჩაითვლება, არ შეიცავს მითითებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საარჩელის ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზე ზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან, სარჩელით მოთხოვნილია საჯარო მოსამსახურისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რომელსაც არეგულირებს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მოცემული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კახონმდებლობიდან. სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. ის გარემოება, რომ მ. ქ-ი მუშაობდა სსიპ იუსტიციის სახლში არ ცვლის განსჯადობის წესს, ვინაიდან, მ. ქ-ი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 30 ივლისის №375/კ ბრძანებით საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კონკრეტულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებდა საჯარო საქმიანობას ასევე არ ცვლის განსჯადობის წესს. ვინაიდან, მოცემული დავა უკავშირდება არა სსიპის საქმიანობას, არამედ მისი მუშაკის შრომით ურთიერთობას. სადაც სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნები დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე – 317-ე და 976-ე მუხლებზე და დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის – მ. ქ-

ისათვის ხელფასის სახით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაწინა, რომ სადაც სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. სასამართლო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ დავა განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და;

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ იუსტიციის სახლის სარჩელი მოპასუხე მ. ქ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. ტერიტორიული განსჯადობა

#### განხილვა

№ბს-248-244(გ-15)

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 19 თებერვალს დ. ლ-ემ სარჩელით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხებისა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ო. ა-ის მიმართ და მოითხოვა ო. ა-ის სახელზე გარდაბნის რ/ნ-ის სოფ. თ-ში მდებარე 600 კვ.მ. მინის ნაკვეთის რეგისტრაციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 22 აპრილის №114 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 14 იანვრის №... ბრძანების ბათილად ცნობა. ასევე გ-ის რ/ნ-ის სოფ. თ-ში მდებარე სადავო 600 კვ.მ. მინის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით დ. ლ-ის სარჩელი მოპასუხების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ო. ა-ის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარ-

ჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონებს გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებს, მათ შორის, მიწის ნაკვეთის უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადაც ქონების ადგილსამყოფელია გ-ის რაიონი, სოფ. თ-ი, რის გამოც დ. ღ-ის სარჩელი განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად დ. ღ-ის სარჩელი გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულია ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის ძირითად სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომლებიც ეხება ქ. თბილისში მდებარე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სასამართლოს განმარტებით, დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადაც უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირ-

კვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება ადმინისტრაციული საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ წილით დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. ვინაიდან, მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია იმ მოპასუხებების მიმართ, რომელთა მისამართები არის ქ. თბილისი, შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეთა ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ განსჯადობის წესს და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი წილით ფაქტობრივი ადგილმდებარების მიხედვით, რისი არჩევანის უფლებამოსილებაც თვით მოსარჩელს აქვს და იგი არ გამორიცხავს და არ აუქმებს საერთო განსჯადობის წესით დადგენილ განსჯადობას, რადგან შეიცავს მითითებას ალტერნატიული განსჯადობის წესზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტული დავის განხილვისას განსაკუთრებული განსჯადობის წესით რუსთავის საქალაქო სასამართლოში არ უნდა მოხდეს აღნიშნული საქმის განხილვა და საქმე განხილულ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, სადაც მოსარჩელის არჩევითაა შეტანილი სარჩელი თავდაპირველად.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის

თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიჩნევს, რომ დ. ღ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი წანილის თანახმად, სარჩელი უნდა წარდგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 წანილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედ-

ვით.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 26 მარტს ო. ა-ის საკუთრებაში გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ბათილად ცნობა;

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 22 აპრილის №... ბრძანების ბათილად ცნობა;

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 25 მაისს განხორციელებული გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში მდებარე სადავო 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრაციის ბათილად ცნობა;

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის 14 იანვრის №... ბრძანების ბათილად ცნობა;

5. 1997 წლის 3 თებერვლის №... მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციონ სასამართლოს განმარტებით, დავის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელე დ. ლ-ეს საკუთრებაში რეგისტრირებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაუზუსტებელი ფართი – 600 კვ.მ. მასზე მდებარე საცხოვრებელი სახლით, მდება-

რე გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში, რომელიც 2012 წლის 19 ნოემბერს სანოტარო წესით შედგენილი სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა კ. ლ-ეს. კ. ლ-ემ მიმართა რა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს, აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, გ-ის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განცხადებაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ზედდება, კერძოდ, წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, რის გამოც დ. ლ-ემ განცხადებით მიმართ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ და მოითხოვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება, რაზედაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 19 სექტემბრის №1-1-2092 ბრძანებით ეთქვა უარი, აღნიშნული მოსარჩევემ გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის 2015 წლის 14 იანვრის №... ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის მიზნის მისაღწევად მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ო. ა-ის სახელზე გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე 2008 წლის 26 მარტს განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა, ასევე მისი უფლებადამდგენი დოკუმენტის 1997 წლის 3 თებერვლის №10718 მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა, ვინაიდან, სწორედ აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან არის ზედდებაში სადაც მიწის ნაკვეთი და სწორედ აღნიშნული რეგისტრაციიდან გამომდინარეა დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნებიც. შესაბამისად, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგი სწორედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 26 მარტს ო. ა-ის საკუთრებაში გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ბათილად ცნობით მიიღწევა, შესაბამისად, ძირითადი სასარჩელო მოთხოვნებიც სწორედ მიმართულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბ-

ნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. აქვე სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 26 მარტს განხორციელებული ო. ა-ის სახელზე გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვე-თის რეგისტრაციის ბათილად ცნობის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 25 მაისს განხორციელებული გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში მდებარე სადაცო 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის ბათილად ცნობისა და სახელმწიფოს საკუთრებიდან ამორიცხვის ნაწილში, თუმცა მოპასუხედ და-სახელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომ-ლის მიმართაც არ არის მოთხოვნა აღძრული, ხოლო 1997 წლის 3 თებერვლის №10718 მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნო-ბის ნაწილში მოპასუხე საერთოდ არ არის დასახელებული. სა-კასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 85-ე მუხლზე და გან-მარტავს, რომ სასამართლოს საპროცესო მოვალეობას წარმო-ადგენს შეამოწმოს არის თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული ის პირი, ვინც პასუხი უნდა აღოს სარჩელზე. შემოწმების შედეგად, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, მან უნ-და განახორციელოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმის ტერიტორი-ული განსჯადობის დადგენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადაცო სამართალურთიერთობა წარმოიშვა დ. ღ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით გარდაბნის სარეგისტრა-ციო სამსახურის მიერ სადაცო აქტის გამოცემის შედეგად. მარ-თალია მოსარჩელე არ ითხოვს ნაკვეთის მის სახელზე რეგის-ტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, თუმცა სადა-ცო აქტების ბათილად ცნობით სურს მიეცეს 2012 წლის 19 ნო-ემბერს დადგებული სამისდღემშიონ რჩენის ხელშეერულების სა-ფუძველზე გ-ის რ/ნ, სოფ. თ-ში მდებარე 600 კვ.მ. მიწის ნაკვე-თის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შესაძლებლობა, რის გამოც რეგისტრაციის სამსახურის აქტის მნიშვნელობის გათვალისწი-ნებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. ღ-ის სარჩელი გან-სჯადობით უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასა-

მართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ღ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ტერიტორიული განსჯადობა**

#### **განცილება**

№ბს-332-328(გ-15) 10 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...-მა“ 2015 წლის 27 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქალაქ ბათუმის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხეებისთვის 260 061 ლარის მის სასარგებლოდ გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 მაისის განჩინებით შპს „...-ის“ სარჩელი განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილ-სამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ორივე მოპასუხის, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის (მისამართი: ქ. ბათუმი, ა-ის ქ. №...) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (მისამართი: ქ. ბათუმი, კ-ის ქ. №...) ადგილ-სამყოფელს წარმოადგენს ქალაქი ბათუმი, გარდა ამისა, თავად მოსარჩელის მისამართიც (ქ. ბათუმი, ... ქ. №...) ბათუმშია. ამასთან, მართლმასაჯულების სწრაფად, ეფექტურად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლომ მიჩნია, რომ მოცემული დავა უნდა განეხილა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოსა (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია) და ბათუმის საქალაქო სასამართლოს (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია) შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე №3-268, შპს „...-ის“ სარჩელისა გამო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქალაქ ბათუმის მერიის მიმართ, ზიანის ანაზღაურების სახით 260 061 ლარის დაკისრების შესახებ, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობის წესებს, რომლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილ-სამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართუ-

ლია განცხადება (საჩივარი).

სასამართლოს განმარტებით შპს „...-ის“ სასარჩელო განცხადებაში მითითებულია სამივე მოპასუხე სუბიექტის ადგილსამყოფელი (მისამართი), რომელთაგან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფელი ქალაქ თბილისში მდებარეობს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქალაქ ბათუმის მერიის – ქ. ბათუმში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული განსჯადობის წესის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ – ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

განსახილველი დავა, მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ორგანოების უკანონოდ მიჩნეული მოქმედების შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ფულადი გამოსახულებით კომპენსაციას (ანაზღაურებას) შეეხება და მისი ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-20 მუხლის საფუძველზე უნდა გადაწყვდეს, რა დროსაც არ უნდა იქნეს გამოყენებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის სხვა დანარჩენი ნაწილებითა და მე-3 თავის სხვა დანარჩენი ნორმებით განსაზღვრული რეგულაცია. თვით მოსარჩელე მხარე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს, რომ სარჩელით ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მხოლოდ სახელმწიფოსგან, რომ არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მხოლოდ სახელმწიფოსგან, მაშინ სასამართლომ მოსარჩელესთან უნდა გაარკვიოს, კონკრეტულად რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს ასახელებს მოპასუხედ. მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა ყველა ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა უკანონო ქმედებებში. ამასთან, მოსარჩელე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე მთავარი მოპასუხეა სახელმწი-

ფო, რომელსაც სადაც ურთიერთობებში წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მიაჩნია, რომ ამის შესაბამისად სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით არის წარდგენილი, თბილისის საქალაქო სასამართლოში, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოსარჩელე მხარემ ერთმნიშვნელოვნად აცნობა სასამართლოს იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსახილველი დავა რამდენიმე სასამართლოს განსჯადად ჩაითვლებოდა, ის სარგებლობდა არჩევის უფლებით და განსჯად სასამართლოდ მიაჩნია თბილისის საქალაქო სასამართლო (ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია). თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 მაისის განჩინებაში, რომლითაც შპს „...-ის“ სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, აღნიშნულია, რომ სარჩელში მითითებული ორივე მოპასუხის ადგილსამყოფელს ქ. ბათუმი წარმოადგენს, თუმცა სასამართლომ გვერდი აუარა იმ გარემოებას, რომ სარჩელში მითითებულია არა ორი, არამედ სამი მოპასუხე, რომელთაგან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფელი ქალაქ თბილისში მდებარეობს, ხოლო ამასთან ერთად, თვითონ მოსარჩელე აცნობებს სასამართლოს, მისთვის დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე მინიჭებული უფლებით სარგებლობის შესახებ, რომ დავის რამდენიმე სასამართლოს განსჯადად შეფასების შემთხვევაში, სარგებლობდა არჩევის უფლებით და განსჯად სასამართლოდ სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლო მიაჩნია, სადაც წარადგინა სარჩელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული დავა შპს „...-ის“ სარჩელის გამო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქალაქ ბათუმის მერიის მიმართ, ზიანის ანაზღაურების სახით 260 061 ლარის დაკისრების შესახებ, წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თა-

ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შეს „...-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული წორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში უდავოა ადმინისტრაციული სასამართლოს საგნობრივი განსჯადობა და გადასაწყვეტ საკითხს

წარმოადგენს მხოლოდ ტერიტორიულად განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე განეკუთვნება იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარდგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხელშეკრული შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარდგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შპს „...-ის“ სარჩელი აღძრულია სამი მოპასუხის მიმართ, რომელთაგან საქართვე-

ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფელი ქალაქ თბილისში მდებარეობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული განსჯადობის წესის თანახმად კი სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი შინაარსობრივად ექსკლუზიური, გამომრიცხავი ხასიათის მატარებელია. მე-16 მუხლი გულისხმობს განსჯადობის ისეთ შემთხვევას, როცა უპირატესობა ამ მუხლით დადგენილ წესს ენიჭება, მიუხედავად სხვა პირობების არსებობისა. ამავე კოდექსის მე-20 მუხლი კი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, ჩაერიოს მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზებაში. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) ნორმა უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას – იმავე კოდექსის მე-16 მუხლით რეგლამენტირებული განსაკუთრებული განსჯადობისას სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოში წარადგინოს ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ სარჩელში მითითებული სამი მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქალაქ ბათუმის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის აირჩია ერთ-ერთი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის (ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12) მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა სარჩელი. ამდე-

ნად, თბილისის საქალაქო სასამართლოს არ გააჩნდა მოცემული საქმის სხვა სასამართლოში, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასა-მართლოში გადაგზავნის საპროცესო უფლებამოსილება იმ მო-ტივით, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითა-რების სამინისტროსთან ერთად მოპასუხებს წარმოადგენენ აჭა-რის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სა-მინისტრო და ქალაქ ბათუმის მერია. საგულისხმოა, რომ მოსარ-ჩელის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა მოსაზრება დავის განსჯადობის თაობაზე, რომლითაც მოსარჩე-ლემ კიდევ ერთხელ დააზუსტა თავის მოსაზრება მისი სარჩე-ლის განსჯადობის თაობაზე და მოითხოვა დავის თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მი-ერ განხილვა, რითაც მხარემ მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალი-ზება. შესაბამისად, შპს „...-ის“ სარჩელზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მი-იჩევს, რომ საქმე შპს „...-ის“ სარჩელის გამო მოპასუხების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამი-ნისტროს, ქალაქ ბათუმის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილ-ველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნა-წილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექ-ვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიას.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## 4. საქმის თარიღების განახლების განსჯადობის საკითხები

### ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაცდების განსჯადობა

#### განხილვა

№3-2121-6 (ა-15)

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსაძე,  
მ. ვაჩაძე

განმცხადებლის მოთხოვნა – ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაცდების შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ლ. მურუსაძე, მ. ვაჩაძე 13.02.2013 წ. განჩინების გადასინჯვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

ი. თ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში, ... გასას. №...-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ რეგისტრაციაში გატარების დავალება, ხსენებული სახლის თავისუფალი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უზრუნველყოფის დავალება ქ. სოხუმის მერიისათვის.

სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 27.04.2006 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ლტოლევილთა და განსახლების სამინისტრო, ხოლო 17.05.2006 წ. განჩინებით – აფხაზეთის ა/რ მთავრობა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.066. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №...-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ქ. სოხუმში, ... გასასვლელ №...-ში მდებარე სახლის რეგისტრაციაში გატარება, მოსარჩელეს ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის თაობაზე

ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-რეს ი. თ-ამ და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.2007 წ. განჩი-ნებით საქმეზე აფხაზეთის მთავრობა ცნობილ იქნა ქ.სოხუმის მერიის უფლებამონაცვლედ და მესამე პირად ჩართული აფხა-ზეთის მთავრობა ჩაბმულ იქნა საქმეში როგორც სათანადო მო-ჰასუებე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინებით ი. თ-ასა და საქართვე-ლოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწ-ყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეეს-ტრის ეროვნულმა სააგენტომ და ი. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.03.09წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინება ი. თ-ასათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სა-სარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უც-ვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომ-ლითაც არ დაკმაყოფილდა ი. თ-ას სასაჩიველო მოთხოვნა ქ. სო-ხუმის მერიისათვის მოსარჩელის კუთვნილი ქონების თავისუ-ფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყო-ფის თაობაზე; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.03.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. თ-ა ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... გასას-ვლელ №...-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ და საჯარო რეეს-ტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საკუთრების უფლებით რე-გისტრაციაში ი. თ-ას გატარება და მის სახელზე საკუთრების უფლებით უძრავი ქონების აღრიცხვა, საქმე ამ ნაწილში ხელა-ხალი არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამარ-თლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.09წ. საოქმო გან-ჩინებით მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის ნაწილში საჯა-

რო რეესტრი ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ და ამ ნანილში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.12.09წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ი. თ-ას მემკვიდრედ და მესაუთრედ აღიარების მოთხოვნის ნაწილში განსახილველად გადაეცა საგნობრივად განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების დავალდებულების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივარის გამო შეჩერდა სამართალნარმოება საქმის სამოქალაქო წესით განხილვის დასრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ი. თ-ა ცნობილ იქნა მესაკუთრედ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. თ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.04.11წ. განჩინებით ი. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.10წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14.07.11წ. განჩინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.12წ. განჩინებით განახლდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო

სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება, საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. თ-ამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინებით ი.თ-ას საკასაციო საჩივრით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06 წ. გადაწყვეტილება ქ.სოხუმში, ... გას. №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ი. თ-ას მესაუთრედ ცნობის ნაწილში და ქ.სოხუმის მერიისთვის მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილების ამ ნაწილებში კანონიერ ძალაში ყოფნის გამო; დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივრით არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.02.2012წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06 წ. გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ქ.სოხუმში, ... გას. №...-ში მდებარე სახლის ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დარჩა უცვლელად.

12.10.2015წ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ი. თ-ამ და აღნიშნა, რომ ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2013წ. განჩინების გადასინჯვას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ უკანონოა საკასაციო პალატის განჩინება ქ.სოხუმში, ... №...-ში მდებარე უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში ი. თ-ას საკუთრებაში აღრიცხვაზე უარის თქმის ნაწილში და მიუთითებს, რომ ირლევა ადგმიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არ ქო-

ნის, სამართლებრივი დაცვის უფლებისა და ამომრჩევლის უფლების დარღვევის გამო. განცხადებელი თვლის, რომ მოქმედი კანონმდებლობა აძლევს ქ.სოხუმში ..., №...-ში მდებარე უძრავი ნივთის საკუთრებაში აღრიცხვის შესაძლებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ი.თ-ას განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ნარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. თ-ას განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო: ი.თ-ას ერთ-ერთ სასამართლო მოთხოვნას შეადგენდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში, ..., გასას. №...-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ რეგისტრაციაში გატარების დავალება. სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.066. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში, ... №...-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ი. თ-ას სახელზე საკუთრების უფლებით ქ. სოხუმში, ... №...-ში მდებარე სახლის რეგისტრაციაში გატარება. რამდენიმე ინსტანციური განხილვის შემდეგ, საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 23.02.12წ. გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება, საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. თ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ქ.სოხუმში, ... №...ში მდებარე სახლის ი. თ-ას სახელზე საქუთრების უფლების აღრიცხვის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საკასაციო პალატის მიერ უცვლელად იქნა დატოვებული. სწორედ ამ ნაწილში მიიჩნევს საკასაციო პალატის განჩინებას უკანონოდ ი. თ-ა. ამდენად, განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებულ სადავოდ გამხდარ მოთხოვნაზე არსებითად იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, რომლის 23.02.2012 წ. გადაწყვეტილებით შეცვლილ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. თ-ამ. საკასაციო სასამართლოს 13.02.2013 წ. განჩინებით კი სადავო ნაწილში უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. უზენაეს სასამართლოს აღნიშნულ ნაწილში არ შეუცვლია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გადასინჯვის მოთხოვნით ი. თ-ას უნდა მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის, ანუ სასამართლოსთვის, რომელმაც არსებითად იმსჯელა განსახილველ საკითხებზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ ი. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.02.2013 წ. განჩინების გადასინჯვის შესახებ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გა-  
მო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით გან-  
სახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-  
ლოობა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა საქმის თარიღის განახლებაზე

### განჩინება

№ბს-168-165(კ-15)

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ახლად აღმოჩენილ გა-  
რემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმი-  
ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გან-  
ჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ  
ზ. ბ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ზ. ბ-  
ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინება.

2015 წლის 10 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხა-  
დებით მომართა ზ. ბ-ემ, რომელმაც საქართველოს სამოქალა-  
ქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესა-  
ბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2015 წლის 10 სექტემბრის განჩინების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინების, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება, საქმის ნარმოების განახლება და ზ. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილება მოთხოვა.

საკასაციო სასამართლო ნარმოდებული განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზ. ბ-ის განცხადება განსჯადობის წესების დაცვით განსახილელად უნდა გადაეცეს უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის ნარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდლვრები. ამავე კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობის საკითხს, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, განცხადება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განახლებას.

განმცხადებლის მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებაში საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითად მოტივად მითითებული იყო იმ გარემოებაზე, რომ საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ ზ. ბ-ეს მინიჭებული პქონდა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, რაც სამართლებრივად გამორიცხავდა იმ ფაქტის აღიარების შესაძლებლობას, რომ ზ. ბ-ეს 1992 წელს მიენიჭა გენერალ მაიორის სამხედრო წოდება. ასეთის შესაძლებლობას იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, აუცილებელი იყო სამხედრო წოდების მინიჭება თანმიმდევრულად, საფეხურების გავლით. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განჩინებაში აღინიშნა, რომ ზ. ბ-ეს პოლიციის

პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა მინიჭებული, ხოლო პოლიციის გენერლის წოდების ფაქტის აღიარება არ მოუთხოვია და სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია საკასაციო საჩივარზე ამ მიმართულებით მსჯელობა.

განმცხადებლის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად არ მიუთითებიათ იმ გარემოებებზე, რაზეც საკასაციო სასამართლოს განჩინებაში იქნა მითითებული, კერძოდ, იმ ფაქტზე, რომ არ დასტურდებოდა ზ. ბ-ისათვის სამხედრო პოლკოვნიკის წოდების მინიჭების ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინების გაცნობის შემდეგ, ზ. ბ-ებ მოიპოვა მტკიცებულება – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს 25.04.1994წ. №3/1-382 ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ ზ. ბ-ეს გააჩნდა სამხედრო პოლკოვნიკის წოდება. აღნიშნული მტკიცებულება, განმცხადებლის მოსაზრებით, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, შესაბამისად, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი. ამასთან, ზ. ბ-ისათვის აღნიშნული ფაქტის დადასტურების აუცილებლობის შესახებ ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი, აღარ იარსებებდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ბ-ის განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათოლად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვე

ვაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. ბ-ის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინება, რომლითაც თავის მხრივ არ დაკმაყოფილდა ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს არა საკასაციო სასამართლო, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ ზ. ბ-ის განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 424-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ბ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქითხელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა ..... 3; 14; 26; 37; 49; 55;  
64; 74; 85; 91; 96
2. სამოქალაქო განსჯადობა ..... 100; 115; 123
3. ტერიტორიული განსჯადობა ..... 132; 139
4. საქმის წარმოების განახლების განსჯადობის საკითხი  
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო  
განცხადების განსჯადობა ..... 147  
განსჯადობა საქმის წარმოების განახლებაზე ..... 153

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)